1924/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი სხივი

№ 11-12

სახელმწიფო გამომცემლობა — 1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვერდი
1.	ზამთარი—ლექსი ს. **წეველისა**	1
2.	როგორ გავხდი რევოლიუციონერი—**დ. თურდოსპირელის**	1
3.	პროლეტარი—ლექსი **მ. გოგიაშვილისა**	6
4.	ჩვენ ავაფეთქებთ—რევ. პიესა **ს. ერ-ლისა**	6
5.	მოდის ზამთარი—ლექსი **ალ. როშაქიძისა**	8
6.	ერთადერთი—რობერტსისა. თარგმ. **ზ. გრძელიშვილისა**	9
7.	ზამთარი ქალაქში—ლექსი **შ. ქინქლაძისა**	15
8.	მეგობრები—**დიომიდე ანთაძის**	16
9.	ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი—**შ. შეწირულის**	17
10.	კომკავშირის 7 წლის თავი—**შანის**	18
11.	ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას—**შ. თაბუკაშვილის**	19
12.	ვანო სარაჯიშვილს—ლექსი **ილ. სიხარულიძის**	21
13.	როგორ წარმოიშვა ადამიანი (თარგმანი)	21
14.	ორთქლი, როგორც მამოძრავებელი ძალა—**ე. ჩერქეზიშვილისა**	23
15.	მეცნიერება და ტეხნიკა	27
16.	გასართობი	27

ნაპერწკალი...

1924 ნოემბერი დეკემბერი	განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.	წელიწადი 1. № 11—12

899.962.1(05)
ნ-63.

ზამთარი

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ალი არხევს,
ნისლებს ახვევს
აკაციებს.
გახმა ისლი,
შავი ნისლი
სცრავს, აციებს.

* * *

შიშველ კორდებს
მწუხრ აკორდებს
უმღერს ქარი...

ზღვისფერ ჭავლებს
ნისლებს ავლებს,
კვნესის ქნარი...

* * *

მზე ჩაქრა შორს,
მიწის ამბორს
ვერ ახერხებს.
ქარი გმინავს,
თოვს და ყინავს,
სცივათ ვერხვებს.

სიმონ ნეველი.

1084.

როგორ გავხდი რევოლიუციონერი

I

ინდათ, მეგობრებო, გაიგოთ, როგორ გავხდი რევოლიუციონერი?

ძალიან კარგი! გიამბობთ. ოღონდ მოზრდილი ამბავია. მოთმინება იქონიეთ.

ჯერ ზოგი რამ ჩემი აღზრდის პირობებზე. ამას აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა.

მე რომ ბედის მადნებით ვყოფილიყავი მდიდარი და ყანდით დათაფლული, ძნელი საფიქრებელია ისე გავეტაცე რევოლიუციის ტალღებს, როგორც ბავშვებს იტაცებს ღელანა ყანაში შეფრქვეული ყაყაჩოები.

არტახებიდანვე დამყვა გაჭირვება.

მამა გარდაგვეცვალა თუ არა, სოფელი აგვიღალვავდა... ყველამ ყბად აგვიღო. აგვითვალისწინა. ასე იციან. დაუნდობლები არიან...

ჭკვიანი იყო დედაჩემი სალო, სარისტის დამჭერი.

არ უნდოდა ხბოების მდევნელად დავრჩენილიყავით...

— უსწავლელი გონიერი მიჯაჭვული ლომიაო — იტყოდა ხოლმე... ჩემი შვილები კი მინდა იყვნენ არა დაბმული, არამედ თავისუფალი, დამოუკიდებელი... უნდა როგორმე სწავლა მივაღებინოო.

ჩაგვსხა „ფურგუნში“, თვით ფეხით გამოჰყვა და გამოვემართეთ შორეულ უცნობ ქალაქისკენ...

საზარელია ქალაქი — ვეშაპივით ლაშდაღრენილი... შთამთქველი... უმწეოთა დამაწიოკებელი...

ავლაბარში თვეში შვიდაბაზიანი ბუდრუგანა ფარდული ვიქირავეთ...

ვიწყეთ დუხჭირი ცხოვრება...

სრულიად უსწავლელი დედაჩვენის ერთადერთი ხელობა იყო მესარეცხეობა...

და შეუდგა დედა ამ დამქანცავ ჯაფას...

ყველა ვმუშაობდით...

მტკვარზე ვეზიდებოდით მატყლს გასარეცხად...

წელ-გული გადაგვწყდა მათს ზიდვაში...

ხელ-ფეხი გადაგვეჩქვლიფა რეცხვაში...

მაინც ცოტას ვღებულობდით გასამრჯელოს...

ჩაის და მჟავე პურის მეტს ვერასა ვყიდულობდით...

მხოლოდ ეს იყო ჩვენი ნაყოვნება.

ხანდახან უგემურ ხირხიტოს თუ მოვაფიშფიშებდით...

ისე შეუნელებული იყო ეს სალაფავი, რომ ძალლიც კი არ უსუნებდა...

დედა მოხერხებული იყო...

რომ რაიმენაირად გაესალებია იგი—ორი-სამი კაპეიკის მწვანილით შეანელებდა... დააქივლებდა წყალს, ვითომდა ნაირ-ნაირი საჭმელები გვქონოდა, და ისე შეგვატყუებდა.

სადილობის წინ მოდღესასწაულე კილოთი განაცხადებდა:

— დღეს იშვიათი საჭმელი გვაქვს, ხელმწიფესაც არ ექნება იმისთანაო...

ჩვენ მივცვივდებოდით თვალებგაბრწყინებული...

ეს კია, რომ მაგრერიგად არა გვჯეროდა...

განა რა ისეთი ბედნიერი დღე დაგვიდგა, რომ კარგი საჭმლით გაგვაბედნიერესო...—ვფიქრობდით ჩვენა...

— გენაცვალე, დედიკო, რა გვაქვს სადილად?..

— მოიცათ, გავშლით სუფრას და მაშინ იგემებთ...

— ხინკალი?...

პირში ნერწყვი მოგვერია... ახ, ხინკალი, ხინკალი!... ვინ გვაღირსებს.

— არა; ხინკალი არა გვაქვს!

— ყაბულა ფლავი?

— არა!..

— ჩიხირთმა?

— არა!...

რაკი არ ვეშვებოდით და თითქმის ყველა საჭმელს ჩამოვთვლიდით, დედა მისტიური კილოთი გვეტყოდა:

— ჩვენ დღეს სადილად გვაქვს ხელასმური.

— ხელასმური?

— რა არის ხელასმური?...

— ოო, თქვენ არ იცით რა არის ხელასმური.

— გემრიელია?...

— თითებს დაიკვნეტთ ჭამით...

ასე გვიშვრებოდა ჰიპნოზს დედა.

გაიშალა სუფრა.

ჩვენ ხის კოვზები მოვიმარჯვეთ...

ხმელ-პურ ჩაყრილ ჯამებში აოროთქლდა ხელასმური.

ვეცით...

იმავე ძველი საჭმლის გემომ მოგვგვარა ზრზენა...

თვალი მოგვიცრემლიანდა...

ავწრიალდით...

განზე გავდგით ჯამები. .

— ვინც არა სჭამს, დედა მოუკვდება!...—გვაძალებს დედა, რომ სულ უჭმელი არ დავრჩეთ... არ დავსუსტდეთ შიმშილისგან.

დიდხანს არა გრძელდებოდა ჩვენი ბუტიაობა.

არ ვიცი, დედის სახელის დაფიცება ახდენდა ჩვენზე გავლენას, თუ შიმშილი, თუ ორივე—მალე ავამუშავებდით ჭრელად შეღებილ კოვზებს...

ისე მოვთაფლავდით, რომ ნამცეცი არსადა რჩებოდა.

დაობებულ პურსაც ამნაირი ოსტატობით გვასაღებინებდა.

მჟავე პური რა არის, მძაღე, ობმოკიდებული რაღა იყოს!...

— ვინც ამ ყუას გაათავებს, აბაზიანს იპოვნისო...—გვაგულიანებდა დედა, რომ პურით მაინც მოვეყვანეთ არაქათზე...

ჩვენ ხომ ისე ვიყავით გადამწირულნი, რომ გასიფრიფანავებულ ცხვირში სინათლე გაგვდიოდა...

— აბაზიანს ვიპოვნით?—ჰკითხულობს ჩემი უმცროსი ძმა ბაგრატი... რა კარგი იქნება!... ყინული შაქრის მამლებს ვიყიდით... აღტაცებაში მოდის იგი და ცმუკავს... ფართხალებს კალმახივით...

მისი პატარა, ნორჩა ოცნება უკვე ნაირ-ნაირ სანახაობით სტკბება...

ხუმრობა ხომ არ არის აბაზიანის პოვნა...

რამდენი რამე მოუვა აბაზად...

და ჭლრლნის, ჭლრლნის გაკოლაწებულ პურს...

მე რამდენჯერმე მქონდა ნაწვნევი იმედის განიავება აბაზიანის ასეთი ძებნის დროს...

მაგრამ ბაგრატი ისე მადიანად სჭამდა პურს, რომ მე ძალაუნებლიეთ დავეჭვიანდებოდი...

— ვინ იცის, ეგება მართლა ვიპოვნოთ, თუ აბაზიანი არა—უზალთუნიანი მაინც...

და მეც ვიწყებდი გაალმასებული კბილებით გამხმარი პურის ფქვას...

როგორც ბედნიერების ლურჯი ფრინველი ჯერაც არ უპოვნიათ ტილტილ-მილტილს,[1]) ისე ჩვენ ერთხელაც ვერ მიგვიგვნია აბაზიანებისათვის...

—

თუ საჭმელიც არა გვქონდა, მით უფრო არ გვექნებოდა შესაფერი ტანისამოსი...

დედას სხვისი ტანისამოსის ჭრა-კერვის დროს რჩებოდა პატარ-პატარა ნაკუწები...

როცა ვინმე ძველმანს აჩუქებდა, დედა ამ ნაჭრებით დააკერებდა მას და ისე გვმოსავდა.

ფარშავანგის ფრთებივით აჭრელებული იყო ჩვენი „სალუქი სამკაული“...

დაბეჯითებით ვერც კი ვიტყოდით, უფრო რა ფერისა იყო იგი...

ერთხელ გავხდი ღირსი ახალი „მუნდირისა“, მაგრამ ვაი იმ ბედნიერებას...

ვილაცას დედასთვის ეფეშქაშნა რეალურ სკოლის მოწაფის „მუნდირი“...

მოწაფეები ახლა არიან სადად ჩაცმული, თორემ ჩვენ დროს მდიდრებს ბრჭყვიალა ზოლებით და ხაერდით მოპრიალე ტანისამოსს აცმევდენ....

ყველა სკოლას თავისი ფორმა ჰქონდა.

ბავშობიდანვე აჩვევდენ გარეგან სიბრჭყვიალისადმი ტრფიალს...

ადრიდანვე აღუძრავდენ ჩინ-ორდენების სიყვარულს...

მოზარდობა, მცირეოდენის გამოკლებით, მოხელეებად ცხვებოდა...

იმას ვამბობდი... ისეთი ზიზილ-პიპილა მუნდირები ეცვათ მოწაფეებს...

არ ვიცოდი, თუ მისი ჩაცმა სხვისთვის აკრძალული იყო.

მომიტანა თუ არა დედამ სერთუკი, მყის გამოვეწყე...

ეხლავე უნდა აგიწეროთ ჩემი იმდროინდელი სილუეტი...

დავიწყოთ იმავე მუნდირიდან...

იგი იყო მწვანე მაუდისა...

იდაყვში გამოგლეჯილი იყო და დედამ საკერებელი დაატმასნა.

მართალია, მისი ფერი ვერ იშოვა, მაგრამ რა უშავს .. დე, სხვა ნაჭერი ეკეროს...

შახსა და პეწს მაინც ვერ დაუკარგავს მუნდირს...

შარვალი იყო სრულიად გაწყალებული და გახუნებული...

საჯდომზე სათვალესავით ორი ნაკეთი იყო ამოკერილი...

მუხლის თავზედაც ერთი ნაკუწი „ხალად“ იყო ამოგვირისტებული...

ამ მხატვრულ სანახაობას აგვირგვინებდა თუშური ქუდი... ისიც ერთ ალაგას ისე იყო ამოგლეჯილი, რომ თმა ყალზე შემდგარი გამოიყურებოდა.

დარწმუნებული ვარ, სადმე კონკურსი რომ დაენიშნათ სასაცილო სამოსისათვის, ჯილდოს უეჭველად მე მომანიჭებდენ...

ასე გამოწყობილს მომინდა გამესეირნა ქალაქისკენ—უნდა სწორებისთვის მეგრძნობინებინა, რომ არც მე ვარ ქუჩაში ნაპოვნი ვიგინდარა... მეც შემიძლია კარგად გამოწყობა...

მივდივარ...

ცა ქუდად არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნად...

ჩემზე შახიანად მორთული არავინა მგონია...

— ხაბარდა!... ხაბარდა! გზა, გზა მოგვეცით!...

მივდივარ და მივიმღერი ავლაბრულ შიქასტებს...

ვნახოთ, თვალი მომკრა სამმა რეალისტმა...

ჩემსავით გადალასლასებულ-გაკნაპულები კი არ იყვნენ...

ლოყები თურაშაულივით უღვიოდათ...

უეჭველია, ბრწყინვალეთა შთამომავალი ბრძანდებოდენ...

— ბიჭოს!... ეს ლაყინტარა რას გაკადნიერებულა, როგორ არცხვენს ჩვენს მუნდირს... ჰკა მაგასაო—წამოიძახა ერთმა მათგანმა და წამოვიდენ ჩემსკენ...

იმ წამსვე ვიგრძენი, კარგი არა დამადგებოდა რა...

მოვკურცხლე და ახლა რიგორ!...

ფეხმარდი აქილესიც ვერ დამეწეოდა, ისე მივქროდი ისარივით, მაგრამ ერთგან უნდა მომეხვია...

ერთმა შეჩვენებულმა მოწაფემ მიყელა და დამიჭირეს...

გაიმართა ძიძგილაობა...

ორიოდე კი ვუთავაზე თითოს, მაგრამ მათ დამძლიეს...

გამიგდეს ფეხ ქვეშ...

ლაზათიანად მიმთეთქვეს...

დამალილავეს...

ლაზარესავით ამომთართლეს ტალახში...

ამაო იყო ჩემი ყვირილი...

გამვლელ-გამომვლელი დიდები შემოგვეხვივნენ და ხარხაროობდენ... ხითხითებდენ...

---

[1]) მეტერლინგის პიესა „ლურჯი ფრინველის“ გმირების სახელებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს სასიამოვნო სეირს უყურებენო, ისე ერთობოდენ ჩემი საცოდაობით...

შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ეს გაწამაწია, მაგრამ სად იყო სად არა, გაჩნდა ქუჩის ფარაონი—პოლიციელი...

მეგობრულად გაულიმა ბატონიშვილ რეალისტებს...

მე კი წამომითაქა კოსტროში და მომაძახა:

— Пошел!... не смей больше носить мундир благородных!...

ამნაირად, მხოლოდ ერთხელ მეღირსა ჩემს ბავშობაში ახალი სამოსი და ისიც საბედისწერო გამიხდა.

—

უმხიარულოდ, უხალისოდ ვიზოზინებდა ჩვენი ტიალი ცხოვრება.

დედა წელებზე ფეხს იდგამდა, გველის ტყავში ძვრებოდა და მაინც ვერ აპურებდა ამოდენა ოჯახს.

გაჭირვებამ ჩამოალხო, ჩამოადნო...

აჩრდილად აქცია...

აღარაფერი დარჩა მისგან, გარდა მოსიყვარულე თვალებისა და მთრთოლავი გულისა...

მე კანკალით ვფიქრობდი იმაზე, რომ შეიძლება ტიალმა ბედმა ეს უბედურებაც არ გვაკმაროს და იგი სიკვდილს გაატანოს...

სამარადისო განუწყვეტელი რიდე ჩამოაფაროს მისს გაცრიატებულ თვალებს...

რამდენი წლისა იყო?

არ იცოდა. აღარ ახსოვდა.

ისე გადაეჩვია თავის თავზე ფიქრს, რომ დაავიწყდა თვისი წლოვანობა.

თავი მეტად მოხუცებულად მიაჩნდა.

ცისმარე დღე შორით-შორს დაიარებოდა სამუშაოზე თავისი დაღლილი მუხლებით...

—

ჩვენს ოჯახში ხანდახან სიმღერაც გაისმოდა...

მაგრამ ვერ გამოიცნობდით, ქვითინი იყო, თუ მხიარულება.

უფრო ქვითინსა ჰგავდა...

ჩემი უფროსი ძმა—მჭედელი ლევანი, როდესაც მოიღვასლებოდა აღმოუჩენელი ჯავრით,—იწყებდა სიმღერას...

ნაღვლიანი იყო მისი მელოდიები.

იგი მოსთქვამდა:

„შემოდგომის მწუხრივით
ნაღვლობს მაშვრალთა მხარე,
ჩამჭკნარ იმედების ბაღს
დასტირის გლოვიარე.
სახრჩობელებზე გმირთა
გადმოკარკლეს თვალები.
ჩვენის განწირულებით
სტკბებიან მტარვალები“.

ვისმენდი ამ ჰანგებს და უსასოო ღამესავით მეღვენთებოდენ სულში...

მინდოდა მეც მექვითინა...

ვგრძნობდი დიდ ნაღველს...

კაეშნის მიზეზს ვერ მივმხვდარიყავ...

მაშინ ჯერ არ მქონდა შეგნებული ის საშინელი მდგომარეობა, რომელსაც ჰქვიან სოციალური უთანასწორობა...

როცა წამოვიზარდე, მაშინ გავიგე, რომ ამ დახავსებულ ცხოვრების წინააღმდეგ იბრძოდენ მუშათა კლასის რჩეული შვილები... ისინი აჰყავდათ სახრჩობელებზე... მათ მისტიროდა ფიქრცრემლიანი ჩემი ძმა...

—

წინეთაც კარგა ვხედავდი, რომ ბედი ზოგისთვის ვაგლახობდა, ზოგს კი ბედნიერების ღრეობას ანიჭებდა...

მიუხედავად ამისა, პირველად განუსაზღვრელ ზიზღს მაინც არა ვგრძნობდი ბედნიერთადმი...

მეგონა, ეს ღვთისგან იყო დაწესებული...

ასე უდრტვინველად, ბედის მორჩილებით ვატარებდი დროს...

შეიძლება ასევე გაგრძელებულიყო, რომ რამოდენიმე შემთხვევას არ გამოვეფხიზლებიე მონობის თრიაქისგან...

მხოლოდ ამის შემდეგ ამეკვესა გულში სიმძულვარე ფუფუნების შვილთადმი და წყურვილი მათი გაუბედურებისა... ზღვევის მიყენებისა...

აი პირველი შემთხვევა.

ერთხელ რომელღაც გიმნაზიაში ლატაკებისთვის გამართეს შობის ხე...

მოუყარეს თავი ქუჩის ამარა მიტოვებულ ბავშებს...

დედამ ჩვენც წაგვიყვანა...

ზედა-წყვეტა იყო...

ვშიშობდით, ვაი თუ ვერ გაგვერღვია ის მოზღვავებული, მოგურგურე ხალხი და გარეთ დავრჩენილიყავით...

როგორც იყო, დედამ მიგვაახლოვა...

გაიღო კარი და...

მშვენიერი სანახაობა გამოჩნდა.

ფერადი სანთლებით აელვარებული შობის ხე...

ქველმოქმედი მანდილოსნები გედებივით დაცურავდენ...

ფარჩისა და ატლასის ოქრო-ნემსული ქათიბებით შემოსილნი...

ყველას გულ-მკერდი ლაპლაპებდა თვალ-მარგალიტით...

ღატაკი, ყაყიან-წვირიანი ხალხი ისე ჰყარდა, რომ იბნიდებოდენ აზიზად ნაზარდი მანდილოსნები

ხელსახოცს ცხვირიდან არ იშორებდენ...

შობის ხე ღადღადებდა და ღადღადებდა...

ის სრა-სასახლე და ლამაზი ცხოვრება შევადარე ჩვენს შვიდაბაზიან ქოხს და გატანჯულ არსებობას.

შევადარე დედაჩემი- დაკონკილ-ფალასიან, გაკნაჭულ-განათებული—მათ, გააზიზებულებს...

და შემძულდა ეს დიდკაცობა.

შემზიზღდენ ისინი გველებივით, თუმცა მათ გაგვიმართეს გასართობი...

კოხტა, ლამაზი პარკებით სათითაოდ დაგვირიგეს ხილეულობა...

—

არც მეორე შემთხვევას დაუგვიანებია...

ხშირად დედას სამუშაო შემოაკლდებოდა და მას უნდა ეთხოვნა მდიდრებისთვის, რომ სარეცხი მისთვის მიეცათ დასარეცხად...

ხშირად ოჯახურ ფუსფუსს თავს რომ ვერ გაართმევდა—დასწერდა წერილს და მე გამატანდა...

მოწყალებას ხომ არ ვთხოულობდით, მაგრამ მაინც მიმძიმდა წერილის მიტანა...

აი, ერთხელ მივუახლოვდი ნაცნობ მდიდრის სასახლეს...

სიმწრის ოფლს მასხავს...

ვიწყე შორიდან ყურება...

გამოჰქრის როიალის ტიტინი...

ვილაცა ბედნიერი ნებივრად დამღერის...

ვერ შევბედე...

დავბრუნდი შინ...

მაგრამ...

როდემდის გაგრძელდება ჩემი ურჩობა?...

შიმშილი მაბედვინებს...

მეორედ მივდივარ...

რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გადავცე წერილი...

ნაბ-ნაბით მივუახლოვდი კარიბჭეს...

აკანკალებულმა დავადე თითი ელექტრონ ღილს...

— დაგ-დუგ!... დაგ-დუგ!...—სცემს ჩემი გული...

დავაწკარუნო... არ დავაწკარუნო...

როგორც იყო, მოვიეც მხნეობა და გავბედე...

შორს გაისმა წკრიალი...

მე ავფოფინდი, მაგრამ კარებს მაგრად ჩავებღაუჭე, რომ არ გავქცეულიყავი...

გამოვიდა „ლაქია“ ..

ეგონა, ვინმე ავტომობილით ეწვიათ სადარბაზოდ...

პირკატა ეცა, რომ დამინახა...

ჩვეული არ არის ყილაც ქუჩის ბიჭებისაგან წერილის მიღებას...

ჰგონია, ქურდბაცაცა ვარ, ნივთების ასაწაპნად მისული...

წერილს ცხვირში მახლის...

ქუდსა მხდის და შორს ისვრის...

ყელში მომებჯინა ბოლმა...

რას მემართლებოდა?

უნდა წამომელო მათი ჭუჭყიანი საცვლები... ჩვენი ისედაც ნესტიანი ოთახი უნდა გაგვეტენთა სარეცხის სიმყრალით... უნდა დაგვექათქათებია და ყველა ამაში მიგველო ორიოდე გროში...

ისიც შეშურდათ...

იმასაც გვამუნათებენ...

შემზიზღდა, შემზიზღდა მდიდართა კლასი...

როგორც ხარ-ირემს მოსწყურდება წყაროს დაწაფება,—ისე მე მომენატრა მათდამი მუქაფის მიზღვევა... შურისძიების კალოზე მათი გაშლართვა..

მაგრამ რანაირად?...

მე ჯერ ისევ ჩჩვილი, გამოუცდელ-განუვითარებელი ვიყავი და ვერ გამომენახა ლონისძიება...

ახლა რომ რევოლიუცია სჩქეფს და ქაფ-ქაფებს—ასე როდი იყო მაშინ...

ის დრო იყო საშინელი მონობისა, რეაქციისა და რას გავაწყობდი.

ბოლოს მაინც გავბედნიერდი...

გავიგე, რომ არსებობდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა მუშათა კლასს სოციალურ რევოლიუციებისთვის...

იცით, პირველად სად, როგორ გავიგე და რანაირად გავეცანი ამ ორგანიზაციას?...

მაგრამ ამაზე შემდეგ...

დ. თურდოსპირელი.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარი

როს ოქტომბერმა ნგრევის საყვირით
ბებერ პლანეტას მისცა ხანძარი,
რკინის სალტიდან წითელ მახვილით
ვიშვი მედგარი, მძლე პროლეტარი.

—

ჩარხი მოვმართე წინგაქანების,
მოვქრი ტრიუმფით, მზე-წითელ გზაზე,
დღეს ვარ მორჩილი შრომის ბრძანების,
როს შემიკვეთავს, მივქრი მის ხმაზე.

—

მაღალი სულით ვარ მძლე, უკვდავი,
ჩემი გული ჰფეთქს ვულკანიურად,
ვდაღავ შანთებით, მსურს მოვსპო შავი
და წინ მოვჭენობ ტიტანიურად.

—

უსაზღვრო არის ჩემი ჭენება,
განუზომელი მაქვს იდეალი,
შრომის მეუფეს ეგრე მენება,
დრო არს დავცალო ნაღვლის ფიალი.

—

წითელ შანთებით, აფრიკის მზითა
ვწვავ და არ ვინდობ მტერს, წინ როს მხვდება,
წინ მოვიჩქარი ვულკანის წვითა,
მკლავები ჩემი მზეს ცაში სწვდება.

მსოფლიო ღერძის უკულმა ტრიალს
წითელ მახვილით გადვუჭერ მაჯა,
მოვატრიალე და შხამის ფიალს
მე მივუსაჯე ოქტომბრით დასჯა.

—

ტყვიის ჭენებით მოვაფრენ დროშას,
სისხლის ნარვალში ამართულს მაღლით,
ყუმბარით მტრის ჯარს ვუთენებ დროს შავს,
მოდუნებული რომ სუნთქავს დაღლით.

—

მიწავ ბებერო!!! გზა დამიცალე!
მოვქრი ჭენებით, დინამოს ვნება,
მეყო, წარსულში რაც შხამი ვცალე,
ახალ ცხოვრების შექმნის მაქვს ნება!

—

მე ვნებიანობ წინსვლის ნაკადში,
ვსუნთქავ ელვას და ვსჭამ დინამიტებს,
დახუნდულ დროის ხრიოკ ნაბადში
დღეს გამოვძვერი, გზას ვინ არ მიტევს!!!

—

მსურს გავუთხარო ბებერ ქვეყანას
დამყაყებული, დამპალი ძირი,
და ეს ვახარო შრომის მზე-ყანას:
პროლეტარი ვარ მარად მძლე, გმირი.

მ. გოგიაშვილი.

ჩვენ ავაფეთქებთ

რევ.-პიესა 1 მოქმედებად.

(სამოქალაქო ომიდან).

მოქმედნი:

ზურა—რაზმის უფროსი } და-ძმანი } ახალგაზრდა
როზა—სათნოების და } } ლენინელები
სპარტაკი—რაზმელი, როზას საქმრო }

სცენა: რეჟისორის ნებაა და მოხერხება: ან ქალაქის ქუჩა, ან არა და მინდორი, მთიანი.

(ისმის ყიჟინა სროლა, გუგუნი, სიმღერა):

„ახალგაზრდა ლენინელნი მოვქრით, მოვიმღერით,—
ამხანაგებო, თამამად, წინ, რკინის სიმთ ჟღერით.
არ მივცემთ ნებას მტრებს, მშრომელთ სისხლი
კვლავ ლიოს, —
ჩვენ ავაფეთქებთ შეტევით ძველსა მსოფლიოს.
საბჭოთა ქვეყნებს ვხურავთ მხრებზე წითელ
მანტიას,—
და ყიჟინით ვუვსებთ რიგებს, ურჩნი, კომპარტიას.
ხუთქიმა ვარსკვლავსა ვხატავთ ჩაქუჩ-ნამგალზე,—
და ძველ ღმერთებს ვაყირავებთ გადამბუგ ალზე.
ნორჩი გვარდია ვაცილებთ მშრომელ ხალხს
ჯვარცმას,—
ო, ამისთვის მტრებს ვძღვნით მუდმივ ტყვიების
ღვართ სმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო, წინ, ბრძოლის სისხლისფერ ველზე, —
და გადვეხვიოთ ახალ მზეს მარჯნის მწველ ყელზე.

ა.

როზა: (შემოდის) ყველგან სიკვდილი, დაჭრილები...
ო, სისხლის ტბებში დაყრილები — ვერ
აუვედით!
აქ სად მოვედი?! (პაუზა).
ჰო... ეს ჩვენი ბანაკია. (ჩამოჯდება რამეზე).
რა სიამეა რევოლიუციის ამაყ ჰანგები?!
(აღტაცებულია).

ბ.

ზურა: (შემოდის მეორე მხრით, დაჭრილი, ხმალზე
დაყრდნობილი, გაკვირვებული უყურებს)
დაო, როზა!
აქ საით გაჩნდი, რომელ განგებით?!
როზა: (ეხვევა) ზურა! გენაცვა! დაჭრილი ხარ? —
სად მოხდა ბრძოლა?!
ზურა: მკერდში მკრეს, მარა...
დაემართათ ჩვენით მათ ძრწოლა!..
როზა: (ჭრილობას უხვევს) არა უშავს-რა, საშიშო
არ-არს, მორჩები მალე! —
აი, აქ დაჯექ...
ზურა: შენ გენაცვალე... (პაუზა).
იცი, როზა, შენ რომ იცი, —
როგორ იბრძოდა?!
როზა: მერე?! (გახარებულია).
ზურა: რა გითხრა!... ისეთ საქმეს იქმოდა,
რომ ყველა, მისთა ბრძოლის მნახველი,
უკვდავ, რაინდულ გრძნობით იწოდა.
როზა: აქ რომ ვიყავი, სპარტაკმა იცოდა?
ზურა: იცოდა, ვგონებ... (პაუზა).
რა მე დავიჭერ, ჩემი რაზმი მან ჩაიბარა, —
წინ გაუძღვა,
და დააყენა მტერთა სისხლის ზღვა...
ასტყდა ყიჟინა, ხმაურობა, — ტყვიის
ზუზუნში
აღარრა მახსოვს... ზარბაზნების ჭექა-
გუგუნში
იელვა ცეცხლის სიტყვამ, და... ითქვა
გმირთა შეტევაზე გადასვლა,
შემდეგ, ხმაურში არეული
უცნობ ხმათა ცვლა...
და, როს გონს მოველ, ყეჩრახეული
მტერი ილტოდა...
ჩვენი რაზმი ძლევით მისდევდა; —
ცის ფირუზ ფონზე ჩვენი დროშა
ქარით ირწოდა...
მერე არ ვიცი... სიკვდილის ველზე
მეუფლა სევდა...
თვალთ დამიბნელდა... (პაუზა).

როზა: შემდეგ?
ზურა: არ მახსოვს... ან აქ ვით მოველ.
ახლა არ ძალმიძს, შემდეგ გიამბობ
რაც მოხდა, ყველას... (სუსტდება).
როზა: რა მოგდის? (ეხვევა).
ზურა: როზა! ვგრძნობ ახლა სული ამომდის.
მარა... ახლოა დალუპვა სამყაროისა,
და ანათება სანეტარო, ახალ დროისა!..
ო, ჩვენ ვასწავლით, ვინც არ იცის, მას,
სიცოცხლეს ლამაზს,
და სიკვდილს ულამაზესს,
მშრომელი ხალხის საგუშაგოზე,
რომ ვინც მტრობს ჩვენ მზეს, —
მახვილს ვაგოთ ზე!?
ჩვენ უნდა შევქმნათ კომუნა ჩვენი,
დიადი;
მსოფლიოს მშვენი,
გავფანტოთ წყვდიადი.
და ავაგებთ რკინის ბასტიონებს შრომის
სიონზე,
ვვარიჟრაჟებთ ელვის რაშებს ტრფობის
სიოზე!..
(თანდათან სუსტდება. ისმის ყიჟინა).
ჰა, თითქოს, ახლოს ლენინი რეკავს
ზარებსა
და სიყვარულით სდაფნის ამაყ ჩვენს ნორჩ
ჯარებსა.
გესმის ის ხმები?
როზა: დამშვიდდი, ზურა.
ზურა: მოხდება თუ რა,
მინდა გავიგო,
რომ არ წავიდო
თან იჭვთ ზღაპარი...
დე, მე დავეცე მიუსაფარი,
მაგრამ, ო, ძმანო!
(ადგება და წარსდგავს რამდენიმე ნაბიჯს)
აათამაშეთ მარადი სიმნი, —
და გამაგონეთ ახალი ჰიმნი...
(მოწყვეტილი დაეცემა) ოოჰ, როზა...

ბ.

სპარტაკ: (შემოვარდება წითელი დროშით, თოფი
თასმაზე) როზა!!!
ზურა: მე ვკვდები, სპარტაკ... მარა გამარჯვებას
აწ თქვენგან ველი, და გილო-
ცავთ იმ დროს, როს ბრძო-
ლის ველიდან დააბრუნებთ თა-
ვისუფლების მაგ წმიდა დროშას.
გიყვარდეთ... ოო... (კვდება).

როზა: (დაეცემა ზედ, ტირილით) ვფიცავ, ძმავ, ალთქმა რომ შეგისრულო!.. (პაუზა).

სპარტაკ: (დაღონდება) ნუ სტირი, სულიკო, გულდაისრული...

როზა: ზურიკო!.. ზურიკო!..

სპარტაკ: (აყენებს) ადექი, როზა.

როზა: (ეხვევა დაღონებულ სპარტაკს) ზურიკო მოკვდა! (პაუზა)

სპარტაკ: რაც მოხდა, მოხდა! (დროშას გადააფენს).
ო, განისვენე, ძვირფასო გმირო დიად იდეის,—
და, ლენინიზმით ჰნათობს ვიდრე ის,
ძირს არ დავუშვებთ შენის სისხლით შეღებილ მახვილს;
შთამომავლობას გადავცემთ ჩვენ მედგარ ძახილს,
ავაგუგუნებთ ჰეროლდთა უსვენებ საყვირს,
თავისუფლებით ავიწყვეტთ მონობის აღვირს.
და... (ისმის ბუკი, სროლა, მუსიკა, ხმები: „რა ძველს ქვეყანას ავაფეთქებთ დინამიტებით—
და ნანგრევებზე ავწევთ ანძებს, გულს გავშლით აფრად,
ვინღა გაგვიძლოს, თავგამოდებულ ტირილ ანცებს?—
ვიცხოვრებთ სხვაფრად!“
(სიხარულით უგდებენ ყურს, ხელგადახვეულნი).
ო, საყვარელო! გავსწიოთ იქ, საგვირგვინოდ,
და ჩვენი ბრძოლით მტერთა ურდო ავაქვითინოთ.
შეხედე!—მიდის შეტევით ჯარი,—
ეერთე ჩემს ხმალს წითელი ჯვარი!
და... (ხელს სტაცებს ხმალს და აიწვდის მაღლა, დროშას ააფრიალებს და გადასძახებს შორს):
ამხანაგებო!
მეც თქვენთანა ვარ
ამ ალმოდებულ დროშის ფრიალით!
ვაშა ახალ მზეს და წითელ გმირებს
ცეცხლის გრიალით!!!
(მობრუნდება. შორს ისმის: „ვაშა!“)
აბა, როზა! გელი!
(იმედიანად ხელს გაუწვდის).

როზა: (იმედიანადვე) ჰა, ჩემი ხელი!
(შორს ისმის ინტერნაციონალი. შეიძლება პარტერიც აჰყვეს. ფარდა სწრაფად ეშვება).

ს. ერ- ლი.

მოდის ზამთარი

მოდის ზამთარი, მოჰყავს ამქარი,
ქარი ზუზუნებს, ყინავს და ცივა.
ხეზე ფოთოლი შეშინებული
ყვითლდება, კრთება, მიწაზე ცვივა.
მოდის ზამთარი... და ცივი ქარი
აფერადებულს ტყეს ეძგერება,
მწვანე სამოსელს დააყრევინებს,
მდინართ ყინული გადაეკვრება!
მოდის ზამთარი, წინ ჰყავს საფარი—
ქარბუქი, ყინვა, სიცივე მკაცრი,
გადმოევლება კავკასიის ქედს,
ტყვიისფერ ცოდან თოვლს ფიფქად დასცრის.
მოდის ზამთარი... მორთულს მინდორსა
თეთრსა სავანეს გადააფარებს,
ხიდან მონაგლეჯ ყვითელ ფოთოლსა
სათამაშებლად მისცემს ცივ ქარებს...
არა სჯობია, რომ გაზაფხული
დროთა ტრიალში არ იცვლებოდეს?
არა სჯობია, რომ სხივთა სპექტრი
ყველა ფერებით უხვ-სხივოსნობდეს?
არა სჯობია, რომ ყვავის ნაცვლად
ტურფა ბულბული ნაზად გალობდეს?
მზისა სხივებით გამთბარი ია
სხვა ყვავილებთან ერთად ხარობდეს?
მაგრამ ზამთარი მოდის სასტიკი,
ზუზუნებს ქარი, ყინავს და ცივა,
ხეზე ფოთოლი შეშინებული
ყვითლდება, კრთება, მიწაზე ცვივა.

ალ. რობაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთადერთი“

(მოთხრობა რობერტსისა)

თავი I.

ის არ დაბადებულა, თავის მრისხანე წინაპრებივით, მთის გამოქვაბულში. ის დაიბადა ჩალადაგებულ რკინის ვიწრო გალიაში.

ორი ძმა და ერთი და მასთან ერთად გაჩნდენ ქვეყანაზე მონური არსებობისათვის.

დამუნჯებულ და შეუპოვარ დედას, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თავისი ტომის ველური თავისუფლება, არ შეეძლო აეტანა აზრი, რომ მისი შვილები მონობაში უნდა აღზრდილიყვნენ და სურდა შეუბრალებლად მოესპო მათი სიცოცხლე, მოეკლა ისინი, როცა ჯერ კიდევ ბრმები მის მკერდსა სწოვდენ.

მაგრამ დარაჯმა დაასწრო სურვილის სისრულეში მოყვანა. ოთხი პატარა, უმწეო და შიმშილისაგან მოფრუსუნე ცხოველი გადასცეს დედობილს— ძაღლს, რომელიც დამწუხრებული იყო საკუთარი შთამომავლობის დაკარგვით.

როდესაც ლეკვები წამოიზარდენ,—ორი დაძმა—ლონიერები და ჯანმრთელები, როგორებიც ჩვეულებრივად არიან ხოლმე ტყის მგლების შვილები, ისინი ვაჭარს მიჰყიდეს.

მან ისინი ჰამბურგში წაიყვანა. „ერთადერთი“-კი, როგორც უწოდა მას დამგეშმა ტომმა, დარჩა იმავე ცირკში. ის ყველაზე დიდი, საზრიანი და ნიჭიერი ლეკვი იყო.

ტომმის, რომლის გამჭრიახობა ერთი შეხედვით აფასებდა ცხოველის ღირსებას, იმედი ჰქონდა, რომ ლეკვი ოდესმე ცირკის პირველხარისხოვან ვარსკვლავად იქცეოდა.

ჯუ ტომი წინად ტრაპერი იყო და ახალი ბრაუნშვეიგის შორეულ ტყეებში ნადირობდა, საცა შეისწავლა ცხოველების ხასიათი და ამიტომაც შეეზიზღა თავისი ხელობა.

მისი სული ღელავდა და ვერ ეთვისებოდა, დაეხოცა ცხოველები, რომლებიც ისე საინტერესო იყვნენ.

ერთხელ მან ინახულა მოხეტიალე პაწია ცირკი, რომელშიაც უჩვენებდენ გაწვრთნილ მხეცებს, და უცებ მიხვდა თავის მოწოდებას, მიხვდა, რომ ცხოველების მწვრთნელად იყო დაბადებული.

ის შევიდა ცირკში და ექვსი თვის შემდეგ შეუდარებელ მწვრთნელად იქნა ცნობილი. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც ცნობილი დამგეში, მიწვეულ იქმნა ამერიკის უდიდეს ცირკში.

„ერთადერთი“... ეს სახელი თითქოს უცნაური იყო ტყეობაში დაბადებულ მგლის ლეკვისათვის, მაგრამ როცა წამოიზარდა, ეს სახელწოდებაც გამართლდა.

თავისი მორჩილი და თვინიერი დედობილის— ძაღლის ზეგავლენის წყალობით, ის სავსებით ემორჩილებოდა თავის მწვრთნელს, რომელიც მეტისმეტად უყვარდა.

სხვა ადამიანებთან და ცხოველებთან ის თავდაჭერილი იყო და მთელი მისი არსება ცივ მუქარას გამოხატავდა.

მთელი სიყვარული, რომელიც მის განსაკუთრებულ ბუნებაში ბუდობდა, თითქოს ტომის მიუძღვნა.

თავის მხრით მწვრთნელსაც მეტად შეუყვარდა მგელი და დაუღალავის მოთმინებითა და დაყვავებით სწვრთნიდა მას.

რამდენიმე წლის შემდეგ ტომიმ ის ისეთ დახელოვნებულ და სამაგალითო მგლად გამოზარდა, რომ არასოდეს მისი მაგვარი არცერთ ცირკს არ ამშვენებდა.

სიდიდით „ერთადერთი“ დანიის დიდ ლომს უდრიდა, მაგრამ ვერცერთი ძაღლი ვერ დაიკვეხნიდა მისებრ დიდ მკერდს, ფართე მხრებს და გძელ მძლავრ ყბებსა და კბილებს.

როცა მგელი უცქერდა ტომის, მისი თვალები ერთგულებასა და საზრიანობას გამოხატავდა, ხოლო როცა გალიიდან გაჰყურებდა ხალხს, მისი მომწვანო შეუპოვარი თვალები მძულვარებით აღიგზნებოდა ხოლმე.

ყველაფერში, გარდა მწვრთნელისადმი ერთგულებისა, ის თავისი უზარმაზარი და შეუპოვარი მტაცებელი წინაპრების ნამდვილი შთამომავალი იყო.

მაყურებლებს ვერ გაეგოთ, რატომ არ ულალატებდა ეს მრისხანე მხეცი თავისი საშინელი კბილებით მწვრთნელის ერთგულებას, თუმცა ზოგი უიმედო პესიმისტი მაინც ირწმუნებოდა, მგელი როდისმე უსათუოდ გამოსჭრის ყელს თავის პატრონსო.

გარდა „ერთადერთისა“, ყოფილი ტრაპერი ხალხის გასართობად კიდევ სხვა მხეცებსაც სწვრთნიდა და ამზადებდა.

აქ იყვნენ ლომები, ვეფხვები, ვიგრები, სპილო, ორი ზებრი და რუხი დათვი.

ყველა ისინი ემორჩილებოდენ მწვრთნელის ჰიპნოტიურ ძალას.

მხოლოდ მგელს თითქოს არ სჭირდებოდა შთაგონება და ის მოქმედებდა არა მონურად, არამედ როგორც თავისუფალი თანამშრომელი.

მიუხედავად ველური ცეცხლისა, რომელიც ბობოქრობდა მის სისხლში, „ერთადერთი“ თითქოს კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით.

ცირკი დიდი იყო და ისე ჰქონდა განთქმული სახელი, რომ მხოლოდ დიდ ქალაქებში ჩერდებოდა და რამდენიმე კვირობით რჩებოდა.

მაშინ მგელიც რამოდენიმედ თავისუფლებით სარგებლობდა. მას ხშირად უშვებდენ სასეირნოდ მაღალი გალავნით შემოვლებულ ადგილზე, სადაც შეეძლო სირბილი, ხტუნვა, მძლავრი ძარღვების ამუშავება და მთელი მკერდით სუნთქვა.

ხშირად ბინდისას პატრონი გამოაბამდა ყელურში მძიმე ჯაჭვს და ძაღლივით ასეირნებდა პარკში ან სოფლის გზაზე.

უფრო არასასიამოვნო იყო, როცა ცირკი თავის ტურნეს აკეთებდა.

„ერთადერთს“ სძულდა ვიწრო გალია, რომლითაც უხდებოდა მგზავრობა, სძულდა ბორბლების რელსებზე დაუსრულებელი ჭრიალი.

ის ვერ ითმენდა ვაგონის რხევას და თავბრუდამხვევ პროცესიას ლანდშაფტისა, რომელიც გალიის ფანჯრებში მიჰქროდა.

ხანდახან მატარებელი ჩერდებოდა ერთი-ორი საათით სადმე ტყეში, სათადარიგო გზაზე, რომ უფრო ჩქარი მატარებელი დაწინაურებულიყო და გაკვირვებული „ერთადერთი“ ხედავდა ბნელ ბილიკებს, ხეების საიდუმლო კოლონადებს ან შორეულ ბორცვებს და ჰორიზონტს, ქარს კი მისი მახვილი ყნოსისთვის მოჰქონდა ფიჭვის და კედრის საამური სუნი.

მაშინ ძარღვებში სისხლი აუღელდებოდა ხოლმე შეუგნებელი, მაგრამ სანეტარო სიამოვნების წყურვილით, რომელიც არასოდეს არ გამოუცდია, და თავისუფლების ნატვრით, თუმცა ამაზე არაფერიც არ გაუგონია.

ამ წუთებში ძარღვები საშინლად დაეჭიმებოდა და ის გრძნობდა გალიის ხლართების დალეწვის გამოურკვეველ სურვილს.

შეჩერება ხდებოდა ხოლმე ღამით და მთვარე მომაღლო ბორცვიდან ვერცხლოვანის სხივებით ანათებდა მას.

მგელი მიუშვერდა ცას გრძელ პირს და მას აღმოსკდებოდა ხოლმე ის საშინელი დაუსრულებელი და უხეში ღმუილი, რომლის მნიშვნელობა მან არც კი იცოდა.

ეს უჩვეულო ხმა იწვევდა აღელვებას სხვა ცხოველებში, რომლებიც თვითონაც იწყებდენ ღმუილს, ბუტბუტს და ღრიალს.

მაშინ გამოჩნდებოდა ტომი და მგლის გალიაზე ბრეზენტის გადახურვით სწყვეტდა ამ ღმუილს.

გაიგონებდა თუ არა მწვრთნელის მშვიდ, მაგრამ ნებისყოფით სავსე ხმას, მგელი დაჩუმდებოდა, იატაკზე დაწვებოდა და საშინელი გამოძახილი შორეულ წინაპრებისა აღარ აშფოთებდა მის სულს.

ერთხელ ცირკი რამდენიმე კვირით გაჩერდა ერთ ქალაქში და გარეთუბანში მოეწყო. მან რამდენიმე ხის შენობა დაიკავა და გარს შემოავლო ბამბის თეთრი კარვები, ისე რომ განცალკევებულ სოფელს წარმოადგენდა.

ხის ერთ შენობაში მოთავსებული იყვნენ, „ერთადერთი“, პუმა ლეოპარდი და ჰიმალაის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი. აქვე მახლობლად იყო ფართე ფარდული სპილოებისათვის.

პირველ ღამეს, როცა ცირკის მოსამსახურეებმა დაიძინეს, მგლის მახვილმა ნესტოებმა რაღაცა უცნაური სუნი იგრძნო. ის წამოხტა ფეხზე და ღრმად შეისუნთქა ჰაერი.

ღამის წყვდიადი უცებ უცნაურმა მოწითანო სინათლემ მოიცვა.

სხვა გალიებიდან მოისმა შეშინებული ბუტბუტი, არეული მოძრაობა და შესაბრალისი წკმუტუნი ჰიმალაის დათვისა.

მოწითანო შუქი მალე რიჟრაჟად იქცა.

სპილოებმა ყვირილი დაიწყეს.

სამარისებური სიჩუმე უცებ დაირღვა ყვირილით, ღმუილითა და ხალხის ჟრიამულით.

მახრჩობელა კვამლი ნისლივით შემოაწვა „ერთადერთის“ გალიას. მას ხველა აუტყდა და გაკვირვებული იყო, რატომ აქამდის ტომი არ მოდისო.

მაგრამ აი, სპილოების ერთ დარაჯითურთ მოვიდა ტომი.

გაშმაგებით შეუდგენ შენობიდან გალიების გამოთრევას.

ცეცხლი უკვე ჭერს წაეკიდა. დარაჯმა დაიყვირა:—ჩვენ აქედან ვერავის გადავარჩენთ, ლომები მაინც გავათრიოთო!

ამ სიტყვებით ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მეორეთი გაათრია კარებისაკენ პუმას გალია; რაც შეეხება ტომის, ის კინაღამ დაიღუპა: მას ვერ აეტანა აზრი,—გადარჩენილიყო თვითონ და ცხოველების გადარჩენას არ შეცდილიყო.

საჩქაროდ მივარდა გალიებს, გააღო კარები, ანიშნა მგელს, მას გაჰყოლოდა, თვალებზე ხელები აიფარა და კარებთან ამოვარდნილ ცეცხლში შევარდა. მხეცები გამოცვივდენ გალიებიდან, მაგრამ მათი მდგომარეობა უიმედო იყო.

ლეოპარდი დაფრთხა, შეხტა ისევ გალიაში, კატასავით დაგორგლდა იატაკზე და თან სისინით იფურთხებოდა.

„ერთადერთმა“ სცადა ტომის გაჰყოლოდა, მაგრამ ცეცხლი ეცა სახეში და გამობრუნდა. უცებ ფანჯრიდან შემოვარდა მძლავრი ნაკადი წყლისა, რომელსაც ცეცხლის მქრობელი რაზმი უშვებდა, დაასველა მგელი და წააქცია დათვი.

წყლის ნაკადი მალე შესწყდა, რადგანაც ეს შენობა უკვე დაღუპულად იქმნა ცნობილი და რაზმი სხვების გადარჩენას შეუდგა.

მაგრამ ამ ნაკადმა უჩვენა გადასარჩენი გზა პატარა დათვს. ის სწრაფად გადახტა ფანჯრიდან. მას მიჰყვა „ერთადერთიც“ უზარმაზარი ნახტომით, სწორედ იმ დროს, როცა ცეცხლი მოედო იატაკს და ლეოპარდის გალიას.

ფანჯრიდან გადმომხტარი მგელი ჯერ ვერ ამოსულიყო. ჰაერი აბობოქრებული ცეცხლისაგან გახურებულიყო, მიწას მხრჩოლავი კვამლი ედებოდა.

ისმოდა ადამიანების ყვირილი, ცეცხლის მქრობელი მანქანების ხრიალი, გუგუნებდა ცქცხლი, შიშინებდა წყალი, ყვიროდენ ცხოველები.

დათვი მირბოდა ქარის პირდაპირ და მგელიც მას მიჰყვა.

ამ დროს მხრჩოლავმა კვამლმა ის თითქმის დაფარა, მაგრამ ის განაგრძობდა სირბილს და ისე გაჭიმულიყო, რომ მუცლით თითქმის მიწას ეხებოდა; რამოდენიმე წუთში ის უკვე წმინდა ჰაერზე იყო.

თვალები სტკიოდა კვამლისაგან, ცხვირი და ბაგეები ცეცხლისაგან დასთუთქოდა, სველი ბეწვისაგან ორთქლი ასდიოდა.

პირველ ხანებში ვერც კი ჰგრძნობდა, რომ ტყვეობას თავი დააღწია. მიაღწია ბოლოს ტყეს, გაჩერდა და უკან მოიხედა. პატარა დათვი აღარსად ჩანდა.

ღამის სიომ სასიამოვნოდ გაუგრილა სახე, მაგრამ იქ, შორს, მან დაინახა წითელი საშინელება, რომელიც ისე ბობოქრობდა, თითქოს მთელი ქვეყნის შესანსვლას ლამობდა. შიშის ჟრუანტელმა დაუარა მგელს ძვალსა და რბილში.

მან მიაშურა მფარველ ტყეს და გაქანდა წინ, ერთადერთი სურვილით, რომ რაც შეიძლება დაშორებოდა საშინელებას.

არ გაურბენია ორი მილიც, რომ უტყეო მიდამოებში შევიდა, სადაც სახნავს სცვლიდა სათიბი, ფერმები და პაწია რაყა.

საძოვრებზე მყოფი სხვილფეხა საქონელი, ცეცხლის რიჟრაჟით დაშინებული, ფეხებით მიწას სთხრიდა და ფრუტუნებდა.

ზოგან ესმოდა გაბრაზებული ყვირილი ადამიანებისა, როცა მირბოდა ყვავილების კვლებზე ან ვენახებით.

მგელს ვერ წარმოედგინა, რომ თავი უნდა მოერიდებია ფერმერებისთვის. მან არ იცოდა ადამიანის შიში, სანამ ვიღაც ფერმერი არ გაუმასპინძლდა თოფიდან ნასროლი საფანტით.

ორი-სამი საფანტი მოხვდა მას ბარკალში და, რადგან ჭრილობა ზერელე იყო, ტკივილი თითქმის არ უგრძვნია, მაგრამ სამაგიეროდ მიხვდა, რომ ადამიანები საშიში ქმნილებანი იყვნენ. ამიერიდან მან გადაუხვია პირდაპირ გზას და უფრო ყრუ ადგილები არჩია.

გათენებისას მგელმა მიაღწია უდაბურ უსწორმასწორო ადგილს, რომელიც დაბალი ჩირგვებით, მაღალი ტყეებით და უზარმაზარი კლდეებით იყო დაფარული. მზე უკვე მაღლა იდგა, როცა „ერთადერთი“ შეჩერდა.

ხანძრით გამოწვეული თავზარდამცემი შიში ამაფრთოვანებელი თავისუფლების შეგნებით შეიცვალა. მან შიმშილი იგრძნო. პირველი იმპულსით მოტრიალდა პატრონის მოსაძებნად, მაგრამ არა.

იქ, იმ მხარეში ცეცხლი იყო!—და მგელი უფრო გაშმაგებით გაიქცა წინ.

უცებ, თითქმის ცხვირის წინ, საიდღანაც გამოხტა კურდღელი.

„ერთადერთს“ არასოდეს არ ეჭამა ცოცხალი არსება, მაგრამ ინსტინქტიურად გამოუდგა კურდღელს.

მისდა სამწუხაროდ, ლამაზი პაწია ცხოველი იმდენად უყურადღებოდ მოექცა მას, რომ მიიმალა ეკლიან ხშირ ბუჩქებში, რომელშიაც მგელი ვერ შეძვრებოდა.

ცეცხლისაგან დათუთქული პირი ვეღარ უძლებდა ბუჩქების ეკლებს... მან თავი დაანება და წავიდა. მან არ იცოდა საით წასულიყო, მაგრამ ამასთანავე გრძნობდა, რომ სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო ეკლებისაგან თავისუფალი ისეთი ადგილი, სადაც კურდღლები ბლომად იქნებოდენ.

ღამე, გვიან, „ერთადერთმა“ მიაღწია სოფელს და ფრთხილად გარს შემოუარა. დაშორებულ საძოვარზე ბუჩქებს, ბორცვებს და ჯირკვებ შუა მოულოდნელად წააწყდა ცხვრების ფარას.

ერთს წუთს, სანახაობით განცვიფრებული, უძრავად იდგა, მაგრამ როცა შეშინებული ცხოველები გაიქცენ, მოულოდნელად მოუნდა მათი დადევნება.

არ გასულა ერთი წუთიც, ეცა უკანასკნელ ბატკანს და ინსტინქტიურად სწვდა ყელში.

მასში გაიღვიძა თბილი ხორცის სიყვარულმა და ქეიფს შეუდგა. მერმე ჯერ კიდევ ანგარიშმიუცემლად წაიღო უმთავრესი ნაწილები კლდეზე, ქვების ქვეშ დასამალავად, შემდეგ, თავისი მოქმედებით კმაყოფილი, მიიმალა ტყეში და რამდენიმე საათი იძინა.

მთვარე კაშკაშებდა, როცა მგელს გაეღვიძა.

უცნაურმა სინათლემ გაუგებარი სურვილები გაუღვიძა.

ავიდა გატიტვლებული ბორცვის თავზე და თვალი მოავლო გადაშლილ ლანდშაფტს, სოფლის ცეცხლებს და მთის ქვეშ მდებარე მინდვრებს.

მაგრამ მისი გრძნობები სადღაც სხვაგან მიისწრაფოდა. უკანა ფეხებზე მჯდომმა ასწია პირი მთვარისკენ და დაიწყო თავისი ტომის საზარელი სიმღერა.

მგლის ღმუილი უცნობი და უკვე დიდი ხნის დავიწყებული იყო ამ არემარეში, მაგრამ მცხოვრებლები, რომლებსაც ერთხელ მაინც გაეგონათ ის, ხსოვნას არ საჭიროებდენ.

სოფლის ძაღლებმა სიბრაზისაგან ცოფიანივით ღმუილი, ყეფა და წუწუნი დაიწყეს, მაგრამ „ერთადერთზე“ ამ ხმაურობას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მან მას იმდენივე ყურადღება მიაქცია, რამდენიც ბეღურების ჭიკჭიკს.

გაისმა კარების რახუნი და სახლებიდან სასწრაფოდ გამოვიდენ ადამიანები ამბის გასაგებად.

შორს, მთვარის შუქზე მკაფიოდ მოჩანდა მგლის აჩრდილი, რომელიც თავის სიმღერას უძღვნიდა ვიღაცას.

უცებ „ერთადერთმა“ მოჰკრა ცალი თვალი ადამიანთა ბრბოს, რომლებიც აღელვებით საძოვრისაკენ მიეშურებოდენ.

ადამიანები! ნუთუ ისინი მას ხელს ახლებენ?

მაგრამ აქ მას თითქოს სინიდისის ქენჯნა დაეწყო, როცა დაკლული ბატკანი გაახსენდა.

ადვილი შესაძლებელია, გაუელვა მას თავში, რომ ის ამ ადამიანებს ეკუთვნოდა და მას ამიტომ რაიმე უსიამოვნება მოელოდა.

მყისვე შესწყვიტა თავისი სერენადა და გაქანდა ისეთი სისწრაფით, თითქო საშინელ ცეცხლს გაურბოდა.

ამიერიდან ის უკვე აღარ უახლოვდებოდა მოსახლეობას.

პირველი ნადირობის სიადვილემ ის მალე დახელოვნებულ მონადირედ გახადა.

მასში გაიღვიძა მივიწყებულმა ინსტინქტმა, რომელიც შთამომავლობით ერგო.

უცებ შეისწავლა მშიშარა, სწრაფი კურდღლების დადარაჯება, წითური ირმების დევნა და დაჭერა.

ადგილი, საცა ის იმყოფებოდა, სავსე იყო ნადირით, სანადიროდ გასვლას კი წვალება არ სჭირდებოდა, რადგანაც თავისუფლად ნადარდობას აღარავინ უშლიდა.

ასე ჩაატარა რამდენიმე დღე, თანაც ნელ-ნელა ჩრდილოეთის უდაბურ ტყეებისაკენ მიიწევდა.

ასე მიაღწია მაღალი ხეებით მოსილ მთას, რომელიც მაღლიდან დაჰყურებდა უზარმაზარ უდაბურ ტყეს. წინგამოზიდულ მთის წარბიდან „ერთადერთმა“ გაარჩია მთის ძირთან გაფანტული ფერმერების მოსახლეობა.

მაგრამ ადამიანების ბინები ძალიან შორს იყო.

მგელმა მოძებნა ღრმა გამოქვაბული, მოეწონა ბინად, გადასწყვიტა, შორს აღარ წასულიყო და შიგ დასახლდა.

მან იგრძნო, რომ თავის საბოლოო სამფლობელოს მიაღწია.

თ ა ვ ი II.

განმარტოებული მთის მახლობელი სოფლები აღშფოთებული იყვნენ.

ექვსი კვირის განმავლობაში ვიღაც აღრჩობდა ცხვრებს ერთი-მეორეზე და მიზეზი კი ვერ გამოარკვიეს.

ეჭვი მიიტანეს რამოდენიმე პატიოსან ძაღლზე. არავის არ შეეძლო რაიმე ბრალი დაედო მათთვის და ერთადერთი დანაშაულობა ამ ძაღლებისა მხოლოდ მათი სიდიდე და ღონე იყო.

დაზარალებულებში ყველაზე უფრო აღშფოთებული იყო ბრესი ტიმენსი.

მან დაჰკარგა, გარდა ექვსი ცხვრისა, საუცხოო ძაღლი, რომელიც ეჭვით მოჰკლა მეზობელმა, რადგანაც მას გძელი ფეხები და ღონიერი ყბები ჰქონდა.

ცხვრები კი მაინც იკარგებოდა.

ამიტომ ბრეს ტიმენსმა საჯაროდ სცემა მეზობელს და ამგვარად თავისი ძაღლის შური იძია.

სოფლის ყოველი ძაღლის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ბრეს ტიმენსმა გადასწყვიტა ნამდვილი მიზეზის გამოარკვევა.

მაგრამ სანამ ის რაიმეს მოიმოქმედებდა, მინდორში ნახეს ყელგამოჭრილი ძაღლი ჯო ანდერსენისა, ღონიერი და მთელი სოფლის ჩემპიონად ცნობილი.

ის მოკვდა მოვალეობის შესრულების დროს, და რადგანაც ვერცერთი ძაღლი მას ვერ მოერეოდა, ყოველგვარი ეჭვი სოფლის ძაღლებზე გაქარწყლდა.

— ეს, ალბად, დათვია, ამბობდენ სოფლის დუქანთან თავმოყრილი სოფლელები. ხომ ხედავთ, მან ძაღლი მხოლოდ მოჰკლა, რომ მას ხელი არ შეეშალა ცხვრების მოტაცების დროს.

— არა, თქვენ სცდებით, დათვი მას დაამტვრევდა და მოახრჩობდა, რადგანაც უფრო თათებით იბრძვის და ყელს კი არ გამოსჭრიდა. — სთქვა ტიმენსმა. — ჩვენი უცნობი მტერი მგელია!

ჯო ანდერსენმა გადაიხარხარა:

— მგელი! აბა სცადე, ბრეს ტიმენსო, მასზე ნადირობა. მგელი მოერეოდა ჩემს დენის?!

— როგორც გინდათ ისე იფიქრეთ, სთქვა ტიმენსმა, გაძლევთ სიტყვას, რომ ერთი-ორი დღის მერმე გიჩვენებთ ვინც არის.

— როგორც ვიცი, სთქვა დუქნის პატრონმა, აქ ოდესლაც არსებობდენ მინდვრის მომცრო მგლები, მაგრამ უკვე 50 წელია ისინი მოსპენ და თუ, როგორც შენ ჰფიქრობ, ბრეს ტიმენსო, ახლაც მგელია, ის ტყის დიდი მგელი იქნება. ამიტომ ფრთხილად იყავი, თორემ, შენ თუ ვერ დაასწარი, უსათუოდ მოგერევა.

— ვეცდები, არ დავმარცხდე, — სთქვა ტიმენსმა, ამოიღო ყუთიდან დიდი ჯაჭვი ხაფანგისათვის და შინ წავიდა მოსამზადებლად.

ტიმენსმა იცოდა, რომ საქმე საშიშ მხეცთან ჰქონდა, ამიტომ გადასწყვიტა ეპოვნა მისი ბუნაგი. ერთი ხაფანგი უნდა დაედგა ბილიკზე, ორი კი ბილიკის გვერდებზე, ისე, რომ თუ ჭვიანი ცხოველი ბილიკზე ხაფანგს შეამჩნევდა და მოვლას მოისურვებდა, მეორეში უსათუოდ მოჰყვებოდა.

ყოველი შემთხვევისათვის გადიკიდა თოფიც, თუმცა მგლის ცოცხლად დაჭერა ჰქონდა გადაწყვეტილი.. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ტიმენსმა მთაზე მიმავალი ბილიკი შეამჩნია. ის წყნარად, ფოცხვერივით მიიპარებოდა ბილიკით, დარწმუნებული, რომ მოსახვევს იქეთ ბუნაგს იპოვიდა. გზა მიდიოდა კლდის წარბით და როდესაც ტიმენსმა ბუნაგს მიაღწია, ბილიკი უცებ ჩამოინგრა.

ტიმენსი ინსტინქტიურად შეხტა, რომ ქვების ზვავს არ მოჰყოლოდა. ის დაეცა ქვებზე და ოცოდე წუთი უძრავად ეგდო. როცა გამოერკვა, დაინახა, რომ ფეხები ჩამოწოლილ მიწაში მოჰყოლოდა. თავი სტკიოდა და თითიც ხაფანგს გაეჭრა.

დაუწყო თოფს ძებნა, მაგრამ ვერ დაინახა.

როცა ჯერ კიდევ წამოწოლილმა დაიწყო ახლო ბუჩქების თვალიერება, უცებ დაინახა ათ ნაბიჯზე უკანა ფეხებზე მჯდომარე უზარმაზარი მგელი და შიშის ერუანტელმა დაუარა.

ტიმენსს არასოდეს არ ენახა ამოდენა მგელი და დანახვისთანავე მოინდომა ადგომა და დაყვირება.

მაგრამ გამოცდილებამ უკარნახა არ განძრეულიყო, რადგანაც არ იყო დარწმუნებული, რომ შესძლებდა ადგომას.

ამასთანავე მგელი თითქოს ცუდს არაფერს ფიქრობდა.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა რამდენიმე წუთი.

მერმე მგელმა ასწია უკანა თათი და ყური დაიფხანა.

ტიმენსი ამის დანახვაზე უცებ დამშვიდდა.

— მგელი, ალბად, კარგ გუნებაზეა, გაიფიქრა მონადირემ, თორემ რაში მოისაზრებდა ყურების ფხანას, ან იქნება იმდენად ჩაფლული ვგონივარ, რომ ჩემი არ ეშინია, როგორც გადაგდებული ძვლის.

„ერთადერთი“ ამ დროს წამოდგა, გაიზმორა, ხმამაღლა დაამთქნარა, მოუხლოვდა ორი ნაბიჯით, თავი გადახარა და თითქოს ამბობდა, „ნება მომეცით გაგეცნოთო“.

— „არა, ასეთი უცნაური მგელი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, გაიფიქრა ტიმენსმა, მოდი ვსცადო დალაპარაკება.

— „აქედან დაიკარგე. — ხმამაღლა დაიყვირა მან.

მგელმა თავი მეორე მხარეზე გადახარა.

სიტყვები ახალი იყო, მაგრამ სწორედ ასეთი ბრძანების კილოთი ელაპარაკებოდა ტომიც.

ვერ მიმხვდარიყო მხოლოდ, რას სთხოვდენ.

ხმა კი მოეწონა: ტომის ხმას წაგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწონდა ტიმენსის შინ მოქსოვილი სამოსელიც.

სუნიც ტომის აგონებდა და „ერთადერთს“ მოუნდა მოსწონებოდა უცნობს.

მაგრამ რას მოითხოვდენ მისგან?

მგელი წამოდგა და მოიხედა, რომ გაეგო, რა უნდოდა მონადირეს.

როცა მგელმა თავი მოატრიალა, ტიმენსმა დაინახა ბეწვებით სანახევროდ დაფარული, მაგარი საყელური.

— აი, აქვე მოვკვდე, თუ ეს სამხეცედან გაქცეული მგელი არ იყოს, წაიბუტბუტა ტიმენსმა და ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე.

მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რამდენად დაჟეჟილი ჰქონდა სხეული.

მგელი შეჰყურებდა მას უნდობლად, მაგრამ ამასთანავე ძალლივით მეგობრულად.

ტიმენსს გაახსენდა დიდი ხანძარი ცირკისა და გადასწყვიტა, მგელი იქიდან გამოქცეულიაო.

— აქ მოდი, ბატონო! აქ მოდი, მგელო! — ალერსიანად გაუწოდა ცხოველს ხელი.

„მგელი“. ეს ნაცნობი სიტყვა იყო, თუმცა სახელის ნაწილს შეადგენდა.

ნელა, კუდის ქნევით მიუახლოვდა მგელი ტიმენსს და, ალერსის მოლოდინში, თავი ხელ ქვეშ ამოუდო.

მართალია, თავისუფლება მოსწონდა, მაგრამ ამავე დროს საშინელ მარტოობას გრძნობდა.

ტიმენსი კარგად იცნობდა ცხოველებს. მისი ხმა, როცა მგელს მიმართავდა, ალერსით იყო სავსე, მაგრამ ამავე დროს მტკიცე ნებისყოფაც გამოიხატებოდა მასში.

ხელის შეხება ნაზი, მაგრამ ამავე დროს გადამწყვეტი და მტკიცე იყო.

მგელმა იგრძნო, რომ ამ ადამიანს უნდა დაემორჩილოს ისევე, როგორც ტომის, რომ მისი უფლება უეჭველი და აუცილებელია.

როცა ახალმა პატრონმა უბრძანა დაწექიო, მგელი დაწვა და იწვა, სანამ ტიმენსი გაიწმენდდა ტანისამოსს და გასისხლიანებულ ხელებით მონახავდა და აიღებდა თოფს და ხაფანგებს.

მერმე მონადირემ ჯიბიდან ქაღალდში გახვეული ბუტერბროტები ამოიღო და ერთი თავის უცნაურ ამხანაგს მიაწოდა.

„ერთადერთი“ არ იყო მშიერი. კუჭი ცხვრის მშვენიერი ხორცით ჰქონდა სავსე, მაგრამ უარის თქმა, ალბად, უზრდელობად მიიჩნია და უცებ გადასანსლა მიწოდებული.

ტიმენსმა ამოიღო ჯაჭვი, მოაბა მგელს საყელურზე და უთხრა: წავიდეთ!

მგელი მორჩილად გაჰყვა.

ტიმენსი კმაყოფილი იყო.

რას ნიშნავდა ერთი ძალლი და ექვსი ცხვარი ამისთანა საუცხოო ნადირთან შედარებით!

ოცტათი აფიქრებდა სოფელი. მგელი თუმცა ახლა ცხვარივით მორჩილი იყო, მაგრამ ტიმენსს არ დავიწყებია ჯო ანდერსონის ძალლის ბედი.

როდესაც ისინი ტყიდან საძოვარზე გამოვიდენ, უცნაური თავგადასავალი შეემთხვათ.

ალვის ხეებიდან გამოვარდა წითელი ხარი და ადამიანისაკენ გაჰქანდა.

ტიმენსს მოაგონდა, რომ ეს ხარი ცნობილია თავის ბრაზიანობით და ჯოგის დასაცავად არის გაშვებული საძოვარზე. ახლომახლოს არ იყო ხე, რომ ტიმენსი ზედ ამძვრალიყო და გადარჩენილიყო, არ ეგდო ჯოხიც, რომ ხარი მოეგერებია, ასეთი ძვირფასი და ჯიშიანი ცხოველის მოკვლა კი ვეღარ გაბედა.

— დალახვროს ეშმაკმა, წამოიძახა მან, მიატოვა „ერთადერთის“ ჯაჭვი და გაიქცა, თან ხელებს იქნევდა და ყვიროდა ხარის დასაშინებლად.

მაგრამ გაზვიადებული ხარი ყურადღებას არ აქცევდა არაფერს და თავდახრილი მისდევდა გასათელავად.

მარტო დარჩენილ მგელში მოვალეობის შეგნებამ გაიღვიძა, ყურები სცქვიტა, თვალები უცებ მოეღუშა და მომწვანო ცეცხლოვან ხაზებად ექცა.

დაღებულ ხახაში გამოჩნდა თეთრი კბილები და ხმაამოუღებლივ ეძგერა წითელ ხარს.

ადამიანს ეგონებოდა, „ერთადერთი“ მუდამ ხარებზე ნადირობდაო, ისე საშინლად გაიწკაპუნა კბილებმა, როცა ის ხარს ყელში სწვდა.

ტიმენსი განცვიფრდა, როცა ხარი უცებ შეჩერდა და წაიჩოქა. მერმე თავისი სიმძიმით და მგლის იერიშით ძლეული ცხოველი მიწაზე გაიშხლართა.

მგელი განზე გაუხტა და მზად იყო ხელახლა სცემოდა, თუ ეს საჭირო იქნებოდა.

ხარმა სცადა ფეხზე წამოდგომა, მაგრამ ყელიდან სისხლმა გადმოხეთქა და მკვდარი მიწაზე დაენარცხა.

„ერთადერთი“ კი ძალლივით კუდის ქნევით, მადლობის მოლოდინში, ადამიანისაკენ გაემართა.

ტიმენსმა სინანულით შეხედა მოკლულ ხარს, მცველს თავზე ხელი გადაუსვა, ჯაჭვს აჩქარებით ხელი წაავლო და ნელა ჩაილაპარაკა: ჩემო მეგობარო! შენ შენი მოვალეობა ისე შეასრულე, როგორც გესმოდა, და შენ უნდა გიმადლოდე, რომ ცოცხალი ვარ. ეს ცხოველი მართლაც რომ ბრაზიანი იყო და ყველას უმიზეზოდ ეცემოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, შენ მაინც პასუხს მოგთხოვენ. ეს რომ არ იყოს, ვფიქრობ, რომ შენისთანა ბატკნის სახლში შენახვა არც ისე უშიშარია.

„ერთადერთი“ დარწმუნებული იყო, რომ მოქმედებას უქებდენ და ალერსიანად აქნევდა კუდს.

ტიმენსი ჩაფიქრებული მიდიოდა.

გზაზე წაქცეული ხე შეხვდათ და ზედ ჩამოჯდა. ჯიბიდან ამოიღო დარჩენილი ბუტერბროტი, გატეხა და ნაჭერ-ნაჭერ უდებდა გასისხლიანებულ ხახაში თავის მხსნელს. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან ნაღვლიანად შეხედა მგელს და უთხრა:

— მეგობარო! აქ სხვა საშველი არა არის რა... ბილლისმიტი პასუხს მომთხოვს ხარის მოკვლისათვის. ეს საქმე კი მრავალ პენს მოითხოვს. ცხოველი ხომ ჯიშიანი და შორიდან გამოწერილი იყო. ის არაფერს არ დაიჯერებს და იტყვის, რომ მე განგებ მოგაკვლევინე ხარი საკუთარი ტყავის გადასარჩენად. შენ არც ისე უყვარხარ ხალხს ამ მიდამოებში, და თუ მე თვალი მოგაშორე, მაშინვე რამეს გესვრიან. ჩვენ უნდა ერთმანეთს მხარი მივცეთ, შენ და მე. ესეც მართალია, მე და შენ კარგად მოვეწყვეთ. მე ყოველთვის საკუთარი გზით დავდიოდი, მაგრამ რომ მაინც არა ეშველება რა... შენ მეტად სამძიმო შენაძენი ხარ ჩვენი სოფლისათვის და მეც გადავწყვიტე მივწერო ცირკში, რომ შენ ნაპოვნი ხარ, ამხანაგო. დარწმუნებული ვარ, რომ თანხა, რომელსაც მომცემენ, საკმარისი იქნება ბილლისმიტის ზარალის ასანაზღაურებლად.

ტიმენსი ასეც მოიქცა და ორი კვირის შემდეგ ტომი და „ერთადერთი“ ისევ ართობდენ ხალხს ცირკში.

ზამთარი ქალაქში

თოვლია, თოვლი... ჰყინავს და ცივა...
თეთრი ფიფქები აწყდება მიწებს.
ქარი ცახცახებს... ქარს გააცივა...
მისი ღმუილი ფიქრებს აშინებს.

— —

შორს აზიდულან სამშობლო მთები
და მიაგავან თეთრ პირამიდებს.
სარკოფაგებად იქცა სახლები.
ვერ შევეთვისე ამ ცივ ამინდებს.

— —

ჰაერში ფრინავს გუნდად ყვავები.
ცა აირია, როგორც ქაოსი.
მტკვარი აივსო ყინვის ნავებით.
დაჰქრის სიჩუმე სასაფლაოსი.

თოვლია, თოვლი... ჰყინავს და ცივა...
ცივი ოცნება ფიქრს არ იკარებს.
ქარი ცახცახებს... ქარს გააცივა...
სასოწარკვეთით აწვება კარებს.

— —

და ამ სიცივემ სისხლი გაყინა.
ვნატრობ, ვოცნებობ ზაფხულის მზეზე.
უცხო ფრინველი ჩემს ფანჯრის წინა
ცივად შემოჯდა დაღვრემილ ხეზე.

— —

მოუღოდნელად ვაღებ ფანჯარას...
(ოჰ, როგორ მიყვარს ლაღი სტუმარი)
ჩიტი გაფრინდა და ოთახს ჰფარავს:
თოვლის ფიფქები და ცივი ქარი.

შ. ქინქლაძე.

მეგობრები

— რობერტ, გაიცანი.

— ჯო პორტერი.

— რობერტ ტრაუ. უმცროსი მუშა.

ასე გააცნო მემანქანემ ახალი მუშა ჯო რობერტს.

უნდა გითხრათ, რომ ხელის ჩამორთმევის დროს ჯომ ღონივრად მოუჭირა რობერტს, იმ იმედით, რომ ისიც შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: რობერტმა ხელი ფომფოდ დასტოვა მის ხელში, მხოლოდ ღიმმა ოდნავ გადაურბინა ტუჩებზე. ჯომ შეხედა და გაიცინა.

— ოჰო, რობერტ, მე მეგონა...

— თქვენ გეგონათ, რომ გაგიჟინიანდებოდით?

— ხა, ხა, ხა. დიაღ. მე ბევრი გამიგონია თქვენზე.

— მეც, ჯო პორტერ.

მას შემდეგ ისინი დამეგობრდენ. იქნებ ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთად იყვნენ და უვლიდენ მანქანას, იქნებ ისიც, რომ მუშაობაში ეჯიბრებოდენ ერთმანეთს, ან ის, რომ ყველაფერში ეთანხმებოდენ და არაფერში არ ჩამორჩებოდენ ერთმანეთს. უნდა გითხრათ, რომ დირექციაც იმათი სრული კმაყოფილი იყო.

— ასეთი მუშები იშვიათია. ესენი რომ ახალგაზრდები არ ყოფილიყვნენ, თამამად ეკუთვნოდათ უფროსი მუშის ადგილი,—ბერჯელ უთქვამს მემანქანეს.

მე ვთქვი: თითქმის ყველაფერში ერთმანეთს ეთანხმებოდენ მეთქი. თქვენ შეამჩნიეთ: თითქმის?! მკითხავთ: რატომ?! ახლავ აგიხსნით.

ჯო იყო სპორტსმენი: კუნთები მეტად გაწვრთნილი ჰქონდა. ყოველდღე ვარჯიშობდა ორ საათს და სიამოვნებით ამაყობდა თავის ოცდათვრამეტი სანტიმეტრიანი ბიცეპსებით.

რობერტს კი ოცდახუთმეტიანი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მის ტანში გამჯდარიყო ძალა და პროპორციონულად განაწილებულიყო.

ასე რომ, ვიმეორებ, რობერტი არ ჩამოუვარდებოდა ჯოს, პირიქით.

— მე მიკვირს, რობერტ, რატომ არ ვარჯიშობ?— არა ერთხელ გაუმეორებია ჯოს.—შენც ისეთივე ბიცეპსები გექნებოდა, როგორც მე.

— მე კი მიკვირს, ჯო, რომ შენ ასე გადამეტებით ვარჯიშობ. არც ეგ ვარგა. არც ის არაფერს ნიშნავს, შენ თუ ჩემზე მეტ სიმძიმეს სწევ.

— ამას წინედ მე ექვსი ფუთი და ორი გირვანქა ავწიე. რამ გაგაკვირვა? იქნებ არა გჯერა?

— მჯერა, მაგრამ მაგ ორი გირვანქისთვის შენ ალბად 14 საათი, ე. ი. ერთი კვირა, ივარჯიშე. ჩემი აზრით, ამ დროის განმავლობაში შენ უფრო სასარგებლო საქმის გაკეთება შეგეძლო. შენ ხომ სიმძიმეების აწევაში პირველობას არა ჩემობ.

— არა, რობერტ. მე მხოლოდ ჩემთვის .. მინდა, ღონიერი და ჯანსაღი ვიყო.

— შენ ისედაც ღონიერი ხარ. მერე აქ, ქარხანაში, განა ცოტა სავარჯიშო სამუშაოა?

ამ ლაპარაკში შაბაშის დრომაც მოაწია. გაისმა საყვირის ხმა მუშები ათობით გამოდიოდენ ქარხნიდან გარეთ, მზეზე საუზმის საჭმელად.

იქ ვიღაცა რაღაცას ამბობდა. აქეთ მღეროდენ, იქითკენ უსტვენდენ და ოხუნჯობდენ. ჭრელად მოეფინენ ქარხნის ეზოს მუშები. ყმაწვილებიც გამოვიდენ, ისაუზმეს და შემდეგ წავიდენ ეზოს მეორე მხარისაკენ, სადაც ახალი, გაუხსნელი მანქანა იდგა.

— რა ფირმისაა?

— წარწერა არა ჩანს, ფიცარი უშლის.

— კარგისა უნდა იყოს.

— ჯო, რობერტ, მომილოცავს!

— რას გვილოცავ?

— ახალ მანქანას. დირექციამ გადასწყვიტა...

— ჰე-ჰეი, რობერტ, ჩვენი მანქანა, ჩვენი მანქანა—და ჯომ კისერში მოჰკიდა ხელი თავის ამხანაგს. ორთავენი დატრიალდენ.

— მოიცა, ჯო, თავბრუ დამეხვევა.—გაუძალიანდა რობერტი.

— ხა, ხა, ხა, ბიჭოს! ამას უყურეთ! ჰე, ჰეი, ახალი მანქანა.—სიხარულისაგან ჯომ მაგრად მოატრიალა რობერტი. რობერტმა ხელი ჯოს ნიკაპს მოახვედრა და ჯომ უნებურად ხელი გაუშვა.

— ჰეი, ამხანაგებო! რობერტი და ჯო ჭიდაობენ, ჩქარა მოდით, ჩქარა —დაიყვირა ვიღაცამ. ცნობისმოყვარე მუშებმა ალყა შემოარტყეს მეგობრებს და უყურებდენ.

— ჰო, ჰო, ვიჭიდაოთ, რობერტ?

— რატომაც არა. ხა, ხა, ხა, გადიხარხარა ჯომ.

ასე ხუმრობით დაიწყეს ნამდვილი ჭიდაობა. გამარჯვება თითქოს ხან რობერტის და ხან ჯოს მხარეზე რჩებოდა.

— ჯო წააქცევს.

— ნუ, ვერა.

— ჯოს ბიცეპსი ოცდათვრამეტი აქვს.

— ვნახოთ.

— აბა, რობერტ, მაგრად, მაგრად.

— ჰეი, მარცხნივ.

— ოხ...

ჯო იღლებოდა, რობერტი ოფლში გაწურულიყო.

უცებ ერთი-ორი—და რობერტი წაიქცა, ჯოც ზედ დააწვა. წამიც და მან ცქვიტად აიტანა ტანი

ხელებზე და ზურგზე მოექცა ჯოს. ერთი წამიც და მიწაზე გაშხლართულ ჯოს ხელები მხარზე დააბჯინა.

— ვაშაა, რობერტ!..

მაგრამ...

თავმოყვარე ჯო სირცხვილით აინთო. ბრაზმა გაუელვა. თვალებჩასისხლიანებული მიწიდან სწვდა რობერტის ყელს, ხელები სალტესავით შემოარტყა და მოუჭირა. დაავიწყდა მეგობრობა. მასში მხეცმა გაიღვიძა. ზიზღი და ბრაზი მოჩანდა მის სახეზე.

რობერტს გაუკვირდა, მერე გაიღიმა, მერე აჟრჟოლდა, შეშინდა. იგრძნო, რომ იხრჩობდა. სული ეხუთებოდა. მას შეეძლო იქვე დაგდებული აგური აეღო და მოეკლა ჯო.

მაგრამ მან მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე და გაიცინა...

თვალები... თვალები კი დახუჭა, რომ მთელი თავისი შიში არ ემცნო ჯოსთვის.

ჯო ელდანაცემივით შეკრთა, ნელ-ნელა გაუშვა ხელი. დასუსტდა. მოიბრუნა პირი და მწარედ გადააფურთხა.

მკითხველებო, ეს ყველაფერი მოხდა რამოდენიმე წამის განმავლობაში. ყველა დაიბნა, გარდა რობერტისა.

მეგობრები წამოდგენ.

შაბაში გათავდა.

ქარხანაში, მანქანასთან, რობერტს ჯო მიუახლოვდა.

— რობერტ... მე... მე მინდოდა შენი... შენი დახრჩობა.

— ვიცი, ჯო.

მეგობრებმა მხურვალედ გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

დიომიდე ანთაძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი

(მისი დაარსებიდან ხუთი წლის შესრულების გამო).

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი იმგვარათვე ნაშობია პირველ საერთაშორისო ომის მიერ, როგორც კომინტერნი. ახალგაზრდათა თაობამ იგრძნო, რომ თუ არა ამ ომში, მახლობელ „უკანასკნელ“ ომში მაინც, იმპერიალისტები ყოველ შემთხვევაში საუკუნეზე გადენიან მილიონ ახალგაზრდა მუშებს,—თუ რომ მუშათა კლასი წინასწარ არ მოიშორებს იმპერიალისტებს.

გ. ზინოვიევი.

ხუთი წლის წინ რევოლიუციონურ მუშათა ახალგაზრდობამ საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს.

1907 წელს, პირველ საერთაშორისო კონგრესზე შტუდგარდში, ახალგაზრდათა ორგანიზაციები იქცევა რევოლიუციონურ ახალგაზრდობის დარაზმულ ორგანიზაციად.

შტუდგარდის კონგრესმა ახალგაზრდათა ორგანიზაციების შემდეგ განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა; მანვე მისცა წინამძღვარი საფუძვლები ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის შექმნის საქმეს.

მართალია, ახალგაზრდათა ორგანიზაციების ნაწილმა იმპერიალისტურ ომის ხანაში გადაუხვია ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზას, გაჰყვა სოციალ-შემთანხმებლებს, დაივიწყა მუშათა კლასის სასიცოცხლო საქმეები, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი მაინც კიდევ განაგრძობდა გააფთრებულ ბრძოლას კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ, მყვლეფელურ-მტაცებლურ პოლიტიკის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რევოლიუციონურ ნაწილთან ერთად.

იტალიის ახალგაზრდათა კავშირმა ჯერ კიდევ ომამდე გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც იყო ნათქვამი: „შემტკიცებულიყვენ და შეკავშირებულიყვენ წითელი დროშის გარშემო, რომ დაეწყოთ სამოქალაქო ომი“. მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, ხსენებული კავშირი მოზრდილთა შორის მაინც აწარმოებდა გაძლიერებულ კამპანიას ომის საწინააღმდეგოდ. 1917 წ. თებერვალში იტალიის მუშურმა ახალგაზრდობამ პარტიასთან ერთად მოაწყო დემონსტრაცია იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

გერმანიის რევოლიუციონური ახალგაზრდობა 1916 წ. მაისში აწყობს გაფიცვას, რომელიც მთავრობის უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ იყო მიმართული.

1915 წ. შემდგარმა სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარულ ახალგაზრდობის კონფერენციამ გამოსთქვა აზრი, რომ შემოელოთ საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე, დღე საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობისა.

1919 წ. მოწვეულ იქმნა ქალ. ბერლინში ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ ჩაუყარა საფუძველი ახალგაზრდათა საერთაშორისო ორგანიზაციას. ამ კონგრესმა გამოიმუშავა და მიიღო პროგრამა, რომელშიაც იყო აღნიშნული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით საკითხი კლასთა ბრძოლის შესახებ, ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში მუშათა კლასთან ერთად და სხვ.

მას შემდეგ გავიდა შეუდრეკელი ბრძოლის ხუთი წელი, და ეხლა ახალგაზრდათა კომუნისტურ

ინტერნაციონალს შეუძლია ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში 1,200,000 კაცი გადაისროლოს.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი დღეს თავის რიგებში ითვლის 60 ქვეყნის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, რომელთა უმეტესობაც ცხოვრობს არალეგალურ მდგომარეობაში, ე. ი. ჭერ ქვეშ მუშაობს.

არის მხოლოდ ერთი სახელმწიფო მთელ ქვეყნიერებაზე, სადაც მუშათა კლასსა და მუშათა ახალგაზრდობას თავისუფალ ორგანიზაციის საშვალება აქვს. ეს გახლავთ ს. ს. რ. კ. და სწორედ ეს ფაქტი ყველაზე უფრო უწყობდა ხელს იმას, რომ საუკეთესო და უძლიერესი გვარდია ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალისა არის რ. ა. ლ. კ. კ. (რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი), რომელსაც 900,000 წევრი ჰყავს.

სხვა ქვეყნებში კომკავშირის გავლენა მოხდება მის ორგანიზაციების გარეთაც, ასე, მაგ., საერთაშორისო ახალგაზრდათა დღესასწაულში, როგორც სხვა კამპანიებშიაც, რომელიც მიმდინარეობს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებს მრავალი ასი ათასი ახალგაზრდა მუშა მაშინ, როდესაც კომკავშირელთა რიცხვი მათში გაცილებით ნაკლებია.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ხუთი წლის თავი იმის თავდებია, რომ ორგანიზაცია, რომელსაც 1,200,000 წევრი ჰყავს, გახდება უფრო ძლიერ ორგანიზაციად საერთაშორისო რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ბრძოლისა თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ, რამაც მსოფლიო მაშტაბით სრულ გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს.

შ. შეწირული.

კომკავშირის 7 წლის თავი







20 ნოემბერს შესრულდა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სახელოვანი ბრძოლის და სისხლიანი არსებობის შვიდი წლის თავი.

1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და განსაკუთრებით კულტურულ და საწარმოო ქალაქებში საფუძველი ეყრება ახალგაზრდათა მუშურ-გლეხურ ჯგუფებს, რომელიც შემდეგში გადაიქცა იმ ქარიშხლიან ზღვად, რომელსაც დღეს საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი ეწოდება.

შვიდი წლის წინად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში—ტფილისი, ქუთაისი, გურია, სამეგრელო და სხვა—პირველად ვარდება ის თესლი, რომელზედაც შემდეგ ამოვიდა და გაიზარდა კომკავშირი.

თუმცა პირველ ხანში ეს ჯგუფები არ იყვენ ურთიერთშორის მტკიცედ შეკავშირებულნი, მაგრამ მათ კავშირი ჰქონდათ კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამ ჯგუფებს, აკავშირებდა, ამტკიცებდა და რაზმავდა გადამწყვეტ ბრძოლისათვის თავის კლასიურ მტრების—კაპიტალისტ-ბურჟუების და მათი მაჩანჩალა, გამყიდველ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

თავის არსებობის შვიდი წლის განმავლობაში ჩვენმა კომუნისტურმა კავშირმა მრავალგვარი გზა გაიარა. მისი ნარეკლიანი გზა აღსავსეა დამარცხებისა და გამარჯვების მომენტებით, მაგრამ მისი რკინის ნება ერთხელაც არ შეუპყრია მწუხარებას, არ გასტეხია გული, რადგან სწამდა, რომ მომავალი მაინც მას ეკუთვნის, მისია საბოლოო გამარჯვება, რაც ცხოვრების სინამდვილემ მართლაც მეტის-მეტი სისწორით განახორციელა 1921 წელს.

დღეს საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი თავის არსებობის მერვე წელში გადავიდა. მას წინ ჯერ კიდევ აქვს გასავლელი ძნელი და ხანგრძლივი გზები, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მათაც დავძლევთ და ბრწყინვალე გამარჯვებას ვიდღესასწაულებთ საერთაშორისო მასშტაბით.

გაუმარჯოს საქართველოს ძლევამოსილ ახალგაზრდათა ლენინურ-კომუნისტურ კავშირს!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობას!

შანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას



აღარ გვყავს ვანო.
სდუმს იადონი, სულგანაბული რომ უსმენდა
დიდი, პატარა!
აღარ გვყავს ვანო!
დედაქალაქმა გაყინულ მიწას მიაბარა ის
საუკუნოდ.
ველარ ვიხილავთ მას, ჩვენი მზით
პირგადაკოცნილს,
ველარ ვიხილავთ მას, ჩვენს ვანოს,
ვანოს შავგვრემანს.

* * *

მაისში, ვარდობის თვეში,
ათას რვაას ოთხმოცდ წელს
დაიბადა ის...
და ამუსიკდა,
ვით ბულბული
შეყვარებული.
მზეს შესცინოდა,
მზის ნატეხი
ტფილისის შვილი.

* * *

მღეროდა ვანო—
და მტკვარიც კი
მიყუჩდებოდა.
შავ ვეშაპივით
ყურს უგდებდა იმას
მთაწმინდა...
და მჭმუნვარების
ნაოჭები გაეშლებოდა.
მღეროდა ვანო—
უმღეროდა მთელი
სხეული.
მღეროდა თმებით,
ხელით, ფეხით,
წარბით, წამწამით,
მღეროდა მთელი თვისი არსებით...
სუნთქვაშეკრული მას უსმენდენ ყველა
დამსწრენი.

* * *

არყოფნის გველმა დაგვიშხამა
მღერის რაინდი.
„მომიტანდე, შემასმევდე,
ეგებ ცოტა მოვჯობინდე“...
ისმოდა მღერა—და თვით დნებოდა თავისი ხმის
სინარნარეში.

. . . . . .

და დაინახა თვის სარეცელთან
შავი აჩრდილი.
მიხვდა ყველაფერს.
დამცინავმა გადაჭკრა ღიმმა.
„ვგრძნობ, რომ თავდება ყველაფერი...
სუყველაფერი“.
და საბრძოლველად სიკვდილიც კი
გამოიწვია...
„ვგრძნობ, რომ თავდება ყველაფერი...
სუყველაფერი“...
და ამუსიკდა.
და თვით სიკვდილიც
წარმტაც ლეგენდად
გადააქცია.

* * *

კვდება.
თავდება.
მღერის...
შესაქერის, ბენეფისებზე
რაც მოართვეს
მოხიბლულებმა.
ნაღვლიანია სიმღერა მისი.
ის ემდურის ბედს,
ემდურის სოფელს,
ვერაგს, გაუტანელს.
ემდურის...
„თავო ჩემო,
ბედი არ გიწერია“...
ნაღვლით აღსავსე
გაისმის ხმები.
„თავო ჩემო,
ბედი არ გიწერია“...
კვლავ იმეორებს.
შავი აჩრდილი კი იცინის,
ულმობელია.
„ყველა წამოხვალთ...
ჩემთან წამოხვალთ შენც და ყველანი“—
ამბობს უსიტყვოდ.

* * *

ტფილისი.
ხელოვანთა სასახლე.
საპატიო ყარაული.
ძვირფასი ცხედარი.
სამგლოვიარო მუსიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათალხული ცა.
გაჭედილი ქუჩები.
ტფილისის მცხოვრებნი,
გაერთსულოვნებულნი,
რომ ერთად დაიტირონ ბულბული.

* * *

უკანასკნელი მგზავრობა.
ხელოვანთა სასახლიდან საოპერო
თეატრის ბაღში.
სიტყვები.
აღმოსავლური მუსიკის გლოვა
მინაზებული.
მიაქვსთ...
შავი სამარე მიიღებს იმას.
ჩვენი აკაკი ეყოლება იქვე,
მახლობლად...
და გრძნობის ორი ღმერთის ძეგლები
უდარაჯებენ ქართულ ოპერას...

* * *

გაჰქრა ყოველი.
ის აღარ არის.
შავი სამარე ჰფარავს მის სხეულს.
გულში იხუტებს საოპერო თეატრის ბაღი.
გულშემზარავად პირს იხოკავს
ტურფა ეთერი,
დაობლებული რომ გაჭრილა,
ვით გიჟი, ველად.
ეძებს ეთერი.
ეძებს... ეძახის...
მაგრამ არსად ჩანს აბესალომი.
აღარ გვყავს ვანო.
მხოლოდ აჩრდილს ჰკოცნის ეთერი.
სტირის მალხაზი.
დაღვრემილა მწარედ დონ-ხოზე.
გლოვობს კოვარდოს.
დიდი შოთა გრძნობამორევით
ვეფხის-ტყაოსანს იხსენებს და ნაზად
ბუტბუტებს:
,,რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან-
მისსა ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან''.
სტირის ალფრედი,
ირაკლი, რაულ.
ცრემლებს იწმენდენ რადამეს, ნადირ...

* * *

გაივლის მგზავრი...
გადახედავს საოპერო ბაღს,
ეტყვის მეორეს: ,,აქ მარხია სარაჯიშვილი''.
შეუტოკდება უცნაური ტკივილით
გული,
და თვალის უპე შეიცეკვებს
ნერვიულობით.

* * *

დადგება მწუხრი. შეიცვლება
სურათი დღისა.
იდუმალებით აივსება მთაწმინდა
ჩვენი.
მთების ნიავი ესტუმრება
ტფილისის ქუჩებს.
ქართულ ოპერას დაეტყობა
გამოცოცხლება.
ცივ სამარეში ბორგვას იწყებს
აბესალომი.
საათის რვაზე აიხდება ფარდა
სცენისა.
კუბოს შეანძრევს, წამოდგება
ვანოს აჩრდილი
და ფეხაკრეფით მიაშურებს
საყვარელ სცენას.
როცა ოპერა გათავდება
და ხალხიც წავა,
ისევ უჩინრად დაბრუნდება
მუდმივ ბინაზე,
თვალცრემლიანი ყრუდ იმღერებს
თვის ბნელ საკანში:
,,თავო ჩემო, ბედი არ გიწერია''.

* * *

ქართულ ოპერის ჰირისუფალთ
მოუწყენიათ.
შავ-ბნელი ფიქრი მუდამ თან სდევსთ,
აღარ შორდება:
,,ვანოს ჰანგების მომხიბლავი,
ტკბილი ზღაპარი.
აწ არასოდეს, არასოდეს
გამეორდება''.

შ. თაბუკაშვილი.

ვანო სარაჯიშვილს

ვერ გაუძლოო ეთერის ტრფობას
და იმის მკერდზე სული დალია...
გარდაიცვალა აბესალომი!
ნეტავ სტყუიან, თუ მართალია.

——

ღამემ გაშალა უფსკრულის ფრთები
და სიბნელეში მისწყდა ურმული.
მუნჯი არყოფნის სარეცელზეა
ტკბილი მეურმე დღეს დალურსმული.

——

დღეს მთელ ქვეყანას მოევლინება
ეს ხმა უეცრად, ვით ელვის ხაზი,
საქართველოში რომ აღარ მღერის
„აბესალომი“, „ნაზი მალხაზი“.

როგორ გვხიბლავდა მისი ჰანგები!
სათუთი სევდის ნაზ ფრთებს მოგვხვევდა,
გადაგვაფრენდა შორს, უცხო მხარეს
და მიწის ცრემლებს თან მოარხევდა.

——

გაწყდა ჩანგურზე ხმატკბილი სიმი...
იმგვარი გზნებით აწ ვინლა გვიმღერს:
„მურმანოს“, „ურმულს“ დ „რომ არ მწყალობს“,
„თავო ჩემოს“ და „როდესაც გიცქერს“.

——

ვერ გაუძლოო ეთერის ტრფიალს
და იმის მკერდზე სული დალია...
გარდაიცვალა აბესალომი...
ნეტავ სტყუიან, თუ მართალია?

ილ. სიხარულიძე.

როგორ წარმოიშვა ადამიანი



აზროვნების განვითარებისთანავე ადამიანს დაებადა სურვილი გაეგო, თუ როგორ გაჩნდა ქვეყანა: მიწა, წყალი, ცა, ვარსკვლავები, ცხოველები და თვით ადამიანიც.

მეცნიერება მხოლოდ ბოლო დროს იძლევა ამაზე პასუხს, თუმცა ბევრი რამ ჯერაც კიდევ გამოურკვეველია.



უძველეს დროს კი ამის შესახებ სრულიად არაფერი იცოდენ.

სანამ ადამიანები საკმაოდ განვითარდებოდენ, ამ ამოცანის გამოსარკვევად ხან რას ფიქრობდენ და ხან რას. და რადგანაც სწორი პასუხი ვერ ეპოვათ, გადასწყვიტეს, რომ ყოველივე ეს ზესთაძალებია და დაუწყეს მათ გაღმერთება.

ასეთ გაღმერთებას და ამრიგად ადამიანის გონების დაბნელებას ხელს უწყობდენ ქურუმები და გაბატონებული კლასი, რომლებმაც ამით შემოსავლის წყარო გაიჩინეს და თანაც ამ „ღმერთების“ წყალობით გაუნათლებელი ხალხი დაიმონავეს.

მაგრამ ადამიანი ვითარდებოდა, ძველი ზღაპრები აღარ აკმაყოფილებდა მის აზრს და შეიქმნა ახალი მოძღვრება, თითქოს მთელი ქვეყანა და ადამიანიც ხუთიათასი წლის წინად შექმნა შვიდი დღის განმავლობაში ერთმა ღმერთმა.

ამრიგად დაიმსხვრა ძველი ღმერთები და ძველი ქურუმებიც უსაქმოდ დარჩენ. მაგრამ გაქნდენ ახალი ქურუმები სამღვდელოების სახით და თავისი ახალი მოძღვრებით გაბატონებულ კლასს ამოუდგენ გვერდში.

მეცნიერება ნელ-ნელა წინ მიიწევდა და გამოირკვა, რომ ახალი მოძღვრებაც ყალბია.

გაბატონებული კლასი და „მღვდელმსახურნი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც ახალი მოძღვრება ხალხის დასაჩაგრავად გამოიყენეს, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდენ ახალი მოძღვრების უარყოფას, რადგანაც სარწმუნოებასთან ერთად დაირღვეოდა მასთან შეგუებული წყობილება, ისინი დაჰკარგავდენ უფლებებს, მათი კეთილდღეობა მოისპობოდა.

ამიტომ ისინი ატუსაღებდენ და აწამებდენ მეცნიერებს, რომლებიც ქვეყნის და ადამიანის წარმოშობის შესახებ მეცნიერულ გამოკვლევას აქვეყნებდენ. მაგალითად, გალილეი დასწვეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გამოარკვია და გამოაცხადა: მიწა არ არის გაჩერებული ერთ ადგილზე, ის ბრუნავსო. მანამდე კი ფიქრობდენ, მიწა გაჩერებულიაო.



დევნა და წამება მეცნიერებს ვერ აფერხებდა.

ყველა მეცნიერის დაწვა შეუძლებელი იყო.

მაშინ დაუწყეს დაწვა წიგნებს, მეცნიერებს კი ეკლესიას აშორებდენ და შეაჩვენებდენ ხოლმე, რომ გაუნათლებელ ხალხში მათი ნდობა დაეკარგათ.

ეკლესიას ჩამოაშორეს და „შეაჩვენეს“ მეცნიერი დარვინიც, რომელმაც პირველმა გამოარკვია ადამიანის წარმოშობის სინამდვილე.

მანამდე ფიქრობდენ, ადამიანები ღვთის მსგავსი ზექმნილებანი არიან და სხვა ცხოველებთან არაფერი საერთო არა აქვსთო.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ადამიანებიც ჩვეულებრივი ცხოველები არიან, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლაში უფრო დაწინაურებული, უფრო განვითარებული და, მაშასადამე, ნიჭიერიც.

ყოველივე ნაწილი სხეულისა, რომელიც აქვს ცხოველს, აქვს ადამიანსაც. კუდი, რომელიც თითქოს მარტო ცხოველს აქვს, აქვს ადამიანსაც, მხოლოდ განუვითარებელი და ხორცით დაფარული, თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ დაბადებულა კუდიანი კაცი.

ცხოველს აქვს ოთხი ფეხი, ადამიანს კი ორი ფეხი და ორი ხელი, ცხოველს აქვს ორი ყური და ერთი ცხვირი, ადამიანსაც ორი ყური და ერთი ცხვირი, ცხოველს აქვს ბრჭყალები, ადამიანს ფრჩხილები, ცხოველი ბეწვიანია, ადამიანს თმა აქვს. კიდევ უფრო დიდი მსგავსება აქვს ადამიანს ცხოველთან, თუ მაიმუნს შევადარებთ. აქ განსხვავება ძალიან მცირეოდენია.

აი ასეთმა დაკვირვებებმა დაარწმუნეს მეცნიერები, რომ ადამიანიც ჩვეულებრივი ცხოველია, მაგრამ სხვადასხვა პირობების გამო დაწინაურებული.

კიდევ უფრო დამტკიცდა ასეთი აზრი, თუ-რა-ცა უძველესი დროის ადამიანების ჩონჩხები შეისწავლეს.

გამოირკვა, რომ რაც უფრო დიდი ხნისაა ჩონჩხი, მისი პატრონი ადამიანი მით უფრო მეტად უახლოვდება და ემსგავსება ცხოველს.

ადამიანის უძველესი ჩონჩხი იპოვეს გერმანიაში, გამოქვაბულში, ნეანდერტალის მახლობლად.

როცა ის შეადარეს თანამედროვე ადამიანის ჩონჩხს, დიდი განსხვავება აღმოჩნდა; ეს არსება უფრო მაიმუნს წაგავდა, ვიდრე ადამიანს.

ცოტა ხნის შემდეგ კუნძულ იავაზე მაიმუნისებური ადამიანის ჩონჩხი იპოვეს. ნაპოვნი იყო სულ რამდენიმე ძვალი, რომლითაც მთელი სურათი აღადგინეს.

ამ ადამიანს **პიტეკანტროპი** დაარქვეს.

პიტეკანტროპი საშუალო ტანის იყო. ხელები ჩვენზე უფრო გძელი ჰქონდა, ფეხები უფრო მოკლე; ტანი ბეწვით იყო დაფარული. შესახედავად ის მეტად ტლანქი და ზანტი იყო, მაგრამ სინამდვილეში მარდი და საშიში ცხოველი იყო; შუბლი ვიწრო და უკან დაქანებული ჰქონდა, წარბის რკალები მეტად განვითარებული და წინწამოწეული. ჰქონდა პაწია, ღრმად ჩასმული თვალები და შეჭყლეტილი, ნამდვილი მხეცური ცხვირი.

ის შეუპოვარი ველური ცხოველი იყო.

ყოველივე ზემომოყვანილმა ჯერ აფიქრებია ადამიანს, რომ ადამიანები მაიმუნებისაგან წარმოიშვენ, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ადამიანი სრულიადაც არ არის მაიმუნის შთამომავლობა, არამედ ადამიანიც და მაიმუნებიც საერთო წინაპრისაგან არიან წარმოშობილნი.

რა მიზეზია, რომ ერთი წინაპრის შთამომავლობა—მაიმუნი და ადამიანი—ასე განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან? ეს ჯერაც არ არის გამორკვეული, ფიქრობენ კი შემდეგს: დედამიწა წინად ცხელ ნივ-

თიერებას წარმოადგენდა, როგორც მზე, მერმე ნელ-ნელა ცივდებოდა; მას გაუჩნდა ქერქი და მიწა წყალს გამოეყო.

პირველ ხანებში ხშირი მოვლენა იყო, რომ მიწა დაიწევდა და მას წყალი დაჰფარავდა ხოლმე, ხანდახან კი ზღვის ძირი აიწევდა და ხმელეთად იქცეოდა, ჩნდებოდა ახალი ზღვები და კუნძულები.

დედამიწის გარდაქმნის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როცა ქვეყანაზე ცხოვრება გაჩნდა.

და, აი, შესაძლოა ისე მოხდეთ, ამბობენ მეცნიერები, რომ ადამიანები მოექცნენ ერთ კუნძულზე, სადაც ცხოვრების წარმოუდგენელი პირობები იყო.

არსებობისათვის ბრძოლაში, ათასი წლების განმავლობაში საშინელ პირობებში ყოფნის დროს, გარდაიქმნა და შეიცვალა ადამიანის ბუნება.

იმ პირობებში მხოლოდ უფრო გამძლეს, ნიჭიერს, გამჭრიახს და ლონიერს შეეძლო არსებობისათვის ბრძოლა და სიცოცხლის შენარჩუნება, სუსტები კი ისპობოდენ.

ძლიერი და გონიერი წინაპრებიდან ნელ-ნელა გამომუშავდა ცხოველების ახალი ჯიში—ადამიანი.

ის თანდათან უმჯობესდებოდა და დღევანდელ მდგომარეობამდე მიაღწია.

ორთქლი, როგორც მამოძრავებელი ძალა

(ისტორიული მიმოხილვა).

I. ვინ დაუდო საფუძველი ორთქლის გამოყენებას.

თქვენ ალბად შეგიმჩნევიათ, როგორ ინძრევა ჩაიდანის თავი, როცა წყალი დუღს. ახლა ჩვენ ადვილად ავხსნით ამ მოვლენას, რადგანაც ვიცით, ორთქლს ისეთი ძალა აქვს, რომ შეუძლია აამოძრაოს არა თუ პატარა ჩაიდანის თავი, არამედ დიდი ორთქმავლებიც, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც ორთქლის ძალა გამოიყენეს ცხოვრებაში და სანამ ამას მიახწევდენ, დიდი მუშაობა დასჭირდათ.

მე მინდა აქ მოკლედ გადმოგცეთ ისტორია ორთქლის ძალის გამოყენებისა და დავასახელო ის მუშაკნი, რომელთაც ბევრი იშრომეს, იწვალეს და ზოგმა სიცოცხლეც-კი შესწირა ამას.



პაპინას ქვაბი.

პირველი, რომელმაც იფიქრა ორთქლის გამოყენება, იყო დენის პაპინი. პაპინი დაიბადა 1647 წ. საფრანგეთში, ქ. ბლუაში. ის შევიდა პარიზის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზე, მაგრამ ექიმობას თავი დაანება და გულმოდგინედ დაიწყო მათემატიკის და ფიზიკის შესწავლა. 1681 წ. პაპინმა გამოიგონა ქვაბი, რომელშიაც შეიძლებოდა ბევრი ორთქლი დაგროვებულიყო.

ეს ქვაბი იყო თუჯისა, მაგრამ დახურული ისე, რომ ორთქლს გამოსავალი არა ჰქონდა.

ქვაბში ნახევრამდე ასხამენ წყალს და ათბობენ. როდესაც წყალი ადუღდება, ქვაბში მოგროვდება ორთქლი, რომელსაც გამოსავალი არა აქვს, და დააწვება წყალს. დაწოლის გამო წყლის დუღილი შესწყდება, რადგან ც დაწოლა სწევს დუღილის წერტილს. როდესაც წყლის ტემპერატურა აიწევს, წყალი მეორედ ადუღდება და კიდევ მეტი ორთქლი მოგროვდება.

ამგვარად ქვაბში შეიძლება ბევრი ოთქლი მოგროვდეს.

რადგანაც ორთქლის ძალას შეუძლია ქვაბი გახეთქოს, ამიტომ პაპინმა გაუკეთა ისეთი საფარებელი, რომელსაც რაიმე სიმძიმე იმაგრებს. როდესაც ორთქლი იმდენი შეგროვდება, რომ თავისი ძალით შეუძლია ეს სიმძიმე ასწიოს, მაშინ საფარებელი აიხდება და ორთქლი ქვაბიდან გარეთ გამოვა; ამისთანა საფარებელს გასაფრთხილებელ საფარებელს უწოდებენ (Предохранительный клапан) და დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ ორთქლის მანქანებისთვისაც.

პაპინის ქვაბი დაედო საფუძვლად ყველა ორთქლის მანქანებს და ორთქმავლებს.



გ ე მ ი.

არ არის ისეთი ორთქლის მანქანა, რომელსაც არა ჰქვს ქვაბი თავის გასაფრთხილებელ საფარებლით.

როგორც ამბობენ, პაპინმა მოიგონა აგრეთვე პირველი ორთქლის მანქანა. მანქანა შესდგებოდა პაპინის ქვაბისგან, საიდანაც ორთქლი შედიოდა ერთგვარ ცილინდრში და ამოძრავებდა მასში ჩადგმულ დგუშს. მაგრამ ამ მანქანას ბევრი ნაკლი ჰქონდა და არ გამოდგა. პაპინსვე აწერენ პირველი ორთქმავალი გემის გამოგონებას.

როგორც ხშირადა ხდება, პირველ გამოგონებას ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე და ზოგჯერ სასაცილოდაც იგდებენ გამომგონებელს. ასე დაემართა პაპინსაც. ყველა მატყუარად სთვლიდა მას და არ თანაუგრძნობდა. ბოლოს, 1707 წ. პაპინმა გაჰყიდა რაც რამ ებადა და გააკეთა პატარა გემი, რომელიც ორთქლის მანქანის შუალებით მოძრაობდა. ეს გემი ჩაუშვა მდინარე ვეზირში და თავის სახლობით გაემგზავრა ზედ.

ყველას უკვირდა, რომ გემი უიალქნოდ მოძრაობდა, მაგრამ გამოჩნდენ ბოროტნი, პატარა ხომალდების პატრონები, რომელთაც შარი მოუდეს პაპინს და ცულებით დაუმსხვრიეს გემი. ასე გათავდა დიდი შრომა პაპინისა და ამან თითქმის ასი წლით დასწია უკან ორთქლმავალი გემების გავრცელება. შემდეგ პაპინი ისე გაღარიბდა, რომ აღარ ჰქონდა საშუალება კიდევ გაეკეთებია თავისი მანქანა. „მე იძულებული ვარ ჩემი მანქანები ბუხრების გასაკეთებლად მოვიხმარო ჩემ საწყალ ქოხში“ — სწერდა პაპინი ერთ წერილში. პაპინმა ვერ ნახა თავისი მუშაობის შედეგი, მაგრამ მან დაუდო საფუძველი ორთქლის ძალის გამოყენებას.



გაჭრილი გემი.

1705 წ. ერთმა უბრალო მჭედელმა, ტომას ნიუკომენმა, გამოიგონა ორთქლის მანქანა, რომელიც წყლის ამოსაქაჩავად გამოიყენეს მაღაროებში. ესეც, როგორც პაპინის მანქანა, ქვაბისგან შესდგებოდა, რომლიდანაც ორთქლი ცილინდრში გადიოდა და დგუშს ამოძრავებდა. მაგრამ მანქანის ასამუშავებლად ბევრი სათბობი მასალა იყო საჭირო.

1763 წ. ერთი ამისთანა გაფუჭებული მანქანა მიუტანეს განთქმულ ინგლისელ ინჟინერს, ჯემს უატს. უატმა გაასწორა მანქანა, მაგრამ შეატყო,



სურათი № 2.
უატის მანქანის ნაწილი.

რომ ის ბევრ ორთქლსა ჰკარგავს ტყუილ-უბრალოდ და 1765 წ. უატმა გამოიგონა თავისი მანქანა. უმთავრესი ნაწილი ამ მანქანისაც არის პაპინის ქვაბი და ცილინდრი, რომელშიაც მოძრაობს დგუში. უატის მანქანის ცილინდრს აქვს ორთქლის შესავალი ორი მილი, რომელნიც ჯერჯერობით საფარებლით იხურებიან. ამიტომ ორთქლი შედის ჯერ დგუშის ზევიდან და სწევს დგუშს ძირს, შემდეგ ზევითი მილი იხურება და ორთქლი შედის დგუშის ქვედა ნაწილში და სწევს მას ზევით. ამგვარად მოძრაობს დგუში. დგუშის ტარი შეერთებულია დიდ ბორბალთან, რომელსაც მომქნევ ბორბალს უწოდებენ. დგუშის მოძრაობა აბრუნებს მომქნევ ბორბალს, რომელიც შეერთებულია ორთქლის მილის საფარებელთან. მომქნევი ბორბალი შეიძლება შეუერთდეს კიდევ სხვა ბორბალსაც და ამგვარად ააბრუნოს. რომ გასაგები იყოს უატის მანქანის მოქმედება, იხილეთ სურ. 2. პაპინის ქვაბი და უატის მანქანა ყველა ორთქლის მანქანების უმთავრეს ნაწილს შეადგენს. გინდ მატარებელის ორთქლმავალი აიღეთ. ის შედგება დიდი ქვაბისგან, რომელშიაც წყალი თბება. დაგროვილი ორთქლი შედის ცილინდრში, რომელშიც ამოძრავებს დგუშს. დგუშის ტარი უერთდება მომქნევ ბორბალს. ეს ბორბალი მოხეტიალეს საშუალებით უერთდება მეორე ბორბალს და აბრუნებს მას. პაპინმა და უატმა მოამზადეს ნიადაგი და დაუდვეს საფუძველი ორთქლის ძალის გამოყენებას.

II. ორთქლის გამოყენება ზღვაზე.

როგორც ვთქვით, პაპინმა ვერ მოახერხა ორთქლმავალ გემების გავრცელება. იმის გამოგონება დავიწყებას მისცეს. მხოლოდ 1784 წელს წარუდგინა ამერიკელმა ჯემს ფიჩმა გენერალ ვაშინგტონს გეგმა გემისა, რომელიც უატის ორთქლის მანქანის საშუალებით მოძრაობდა. 1787 წელს ფიჩის გემი ჩაუშვეს მდინარე დელავერში. გემი მდინარის აღმა დიდი სისწრაფით წავიდა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა, დახმარება გაეწიათ ფიჩისთვის. 1788 წ. ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ მიანდო ფიჩს ხუთ შტატში გემებით მიმოსვლის საქმის მოწყობა. ეს ფიჩმა ჩქარა აასრულა, და გემების მიმოსვლა მოკლე მანძილზე გაიჩარხა. შემდეგ ფიჩმა განიზრახა უფრო დიდი გემი გაეკეთებია. მაგრამ კარგი ხელოსნები არ ჰყავდა, მანქანა ვერ გამოდგა და გემი ძალიან ნელა მიდიოდა. ეს საკმარისი იყო, რომ ფიჩს საზოგადოება განზე გასდგომოდა. თუმცა ფიჩი არწმუნებდა კაპიტალისტებს, ამის გამოსწორება ადვილი საქმეაო, იმათ მაინც უარი უთხრეს დახმარებაზე. ფიჩი, თავისი იდეით გატაცებული, სულ ცდილობდა ეშოვნა სადმე საჭირო თანხა, მაგრამ ყველანი სასაცილოდ იგდებდენ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ფიჩი მდინარე დელავერში გადავარდა და თავი დაიხრჩო.

სწორედ ამ დროს დაიწყო მუშაობა მეორე გამოჩენილმა გამომგონებელმა, რობერტ ფულტონმა.

ფულტონი დაიბადა 1765 წელს. ის ჰოლანდიის ემიგრანტის შვილი იყო. პატარა დაობლდა და ოქრომჭედელთან დააყენეს მოწაფედ. დიდი ნიჭი გამოიჩინა ხატვაში, ისე რომ ჩვიდმეტი წლიდან ხატვით ცხოვრობდა. შემთხვევით ფულტონი ერთ მდიდარ ამერიკელს შეხვდა, რომელსაც ძალიან მოეწონა ფულტონი და თავის ხარჯით ლონდონში მხატვარ ვესტთან ხატვის შესასწავლად გაგზავნა. ფულტონი გულმოდგინედ მუშაობდა, მაგრამ ჩქარა დაიწყო სხვადასხვა მანქანების ხატვა და გატაცებით დაიწყო მექანიკის შესწავლა. ფულტონმა გამოიგონა წყალქვეშა ნავი ასაფეთქებელ მანქანით. 1797 წ. პარიზში მდინარე სენაში ჩაუშვეს ეს ნავი ასაფეთქებელი მანქანით. ცდამ კარგად ჩაიარა. ნავმა დაჰყო წყალ ქვეშ 4 საათი და ამოვიდა ზედაპირზე 35 ვერსის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულტონს ძალიან ძვირად უღირდა ეს ცდები და დახმარებას სთხოვდა საფრანგეთის კონსულს, ნაპოლეონს, მაგრამ ნაპოლეონი ეჭვის თვალით უყურებდა ფულტონის გამოგონებას და არავითარი დახმარება არ გაუწია. ფულტონი იძულებული გახდა ამერიკაში წასულიყო. იმან გააუმჯობესა წინანდელი ორთქლის მანქანა და 1807 წელს ფულტონის დიდი გემი ქ. ნიუიორკს მიადგა. ამის შემდეგ აღარავისთვის არ იყო საეჭვო ორთქლის გამოყენების შესაძლებლობა ზღვაში სასიარულოდ. რობერტ ფულტონს ეკუთვნის გავრცელება და გამტკიცება ორთქლმავალ გემებისა შეერთებულ შტატებში და აქედან სხვაგანაც.

III. ორთქლმავალი ხმელეთზე.

ახლა ჩვენთვის ჩვეულებრივია მატარებლით მგზავრობა და ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ 100 წლის წინათ ხალხს შორს ქვეყნებშიაც კი ეტლით უხდებოდა მგზავრობა. რასაკვირველია, მაშინ მგზავრობა ძნელი იყო და დიდი დროც სჭირდებოდა.

ვინ გაგვიადვილა მგზავრობა? ვინ გამოიგონა მატარებელი?

ორთქლმავალი მოკლე მანძილზე გამოსცადა და კარგი შედეგიც მიიღო.

შემდეგ ინგლისში სტეფენსონს დაავალეს რკინის გზის გაყვანა ორ ქალაქს—სტოკტონსა და დარლიკტონს—შორის. ეს დავალება სიამოვნებით მიიღო სტეფენსონმა და 1825 წლის 27 სექტემბერს დაიძრა პირველი მატარებელი. მანქანას თვითონ სტეფენსონი ამუშავებდა. რამდენიმე ვაგონში იჯდა ხალხი დროშებით. მატარებელს წინ მიუძღოდა ცხენით კაცი, რომელსაც ეგონა, რომ მატარებელი მას ვერ გაუსწრებდა, მაგრამ სტეფენსონმა ანიშნა მას, რომ მორიდებოდა და მატარებელი გააქანა 25 ვერსის სისწრაფით საათში. ამის შემდეგ რკინის გზით შეაერთეს სხვა ქალაქებიც და შემდეგ რკინის გზა მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა.

IV. შედეგი.

ორთქლის გამოყენებამ დიდი ცვლილება მოახდინა ცხოვრებაში. გაადვილდა მგზავრობა, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის ხალხები გაეცნენ, დაუახლოვდენ ერთმანეთს და ერთმანეთის კულტურას. შეითვისეს ერთმანეთისაგან ის, რაც თვითეულ მათგანს აკლდა. ერთი ქვეყნის წინსვლა იწვევს სხვა



პირველი მატარებელი.

ამ დიდი საქმის გამომგონებელი, გიორგი სტეფენსონი, იყო ინგლისელი მაღაროს მუშის შვილი. ის ბავშობიჟვე თავის მამასთან ერთად მუშაობდა მაღაროებში. იქ ის ყველაფერს აკვირდებოდა და თავისუფალ დროს-კი სკოლაში დადიოდა და წიგნებს კითხულობდა. პირველად სტეფენსონის გამოგონებული ორთქლმავალი მაღაროებში იყო გამოყენებული ნახშირის საზიდად. მართალია, ამ ორთქლმავალს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ სტეფენსონი იმას თანდათან აუმჯობესებდა. სტეფენსონი დიდხანს მუშაობდა. მას მოეზარდა შვილი, რომელმაც საინჟინერო ნაწილი გაათავა და დაეხმარა მამას თავის ცოდნით. 1815 წ. სტეფენსონმა თავისი ქვეყნების წინსვლას, რადგანაც ყველა ახალი გამოგონება სწრაფად ვრცელდება. გაადვილდა საქონლის გადაზიდვა და ამგვარად განვითარდა ვაჭრობა. დიდმა ვაჭრობამ გამოიწვია მრეწველობის განვითარება. ქარხნებში ორთქლის ძალით აამუშავეს სხვადასხვა მანქანები, ისე რომ მუშა ხელი ნაკლები სჭირდებათ და დიდი სისწრაფით ამზადებენ საქონელს. ამან გააიაფა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა სხვადასხვა მოსახმარი ნივთები.

ყოველივე ეს ზემოდასახელებულ პირების თავგანწირული შრომის ნაყოფია.

ე. ჩერქეზიშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ლითონის ფეხსაცმელები

საფრანგეთში ერთ ქიმიურ ქარხანაში ახდენენ ლითონების გადადუღებას ერთმანეთში და მისგან ამზადებენ ფეხსაცმელებს. ეს ფეხსაცმელი იმდენად მაგარია, რომ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ორი-რწყვილი ასეთი ფეხსაცმელი ჰყოფნის. გარეგნულად მეტად ლამაზია და არც კი განსხვავდება ტყავის ფეხსაცმელებისაგან.

ამჟამად შენდება დიდი ქარხანა ამგვარ ლითონის ფეხსაცმელების დამზადებისათვის.

თოვლზე მავალი ველოსიპედი

შვეიცარიაში გამოიგონეს საინტერესო, ორიგინალური ველოსიპედი, თოვლზე მშვენივრად მოსიარულე. ზედ მჯდომი ადამიანი საფეხურების დაჭერის საშუალებით ატრიალებს წინა დიდ თვალს, იგი თავის მხრივ წრიაპს (лыжы) წინ წასწევს; მთელი მოწყობილობა ამ წრიაპებზეა დამყარებული.

ᲛᲐᲠᲐᲓᲐ

ძველი ქალაქი აიღე,
საბერძნეთს ერთ დროს განთქმული;
იყო ძლიერი, მაგარი,
დღეს ისტორიით ჩანთქმული.

———

ლითონს სახელად უწოდა
ქართველმა ერმა ძველადა,
ეს დაუმატე პირველსა,
განზე გადექი ცქერადა.

———

სულ წელიწადის თვე არის,
ზამთრის ზღუდეზე მდგარია,
ხეში წვენს აამოძრავებს,
ცოცხლდება მთა და ბარია.

დავ. კარბელი.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო სამსატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემულ წიგნების და ჟურნალების

ს ი ა

ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი.

1.	„ნაკადული“	1921 წ. №№ 1, 2, 3, 5	თითო წიგნი	25 კაპ.
2.	„	1922 წ. №№ 1 2, 3-4	„ „	25 კაპ.
3.	„	1923 წ. №№ 1, 2, 3-4, 5, 6-7, 8-9, 10, 11-12	„ „	25 კაპ.
4.	„	1924 წ. №№ 1, 2-3, 4-5, 6-7, 8-9, 10-11	„ „	30 კაპ
5.	„ჯეჯილი“	1921 წ. №№ 1	„ „	40 კაპ
6.	„	1922 წ. №№ 1-2-3	„ „	40 კაპ.
7.	„	1923 წ. №№ 1-2, 3-4-5, 6-7, 8-9, 10, 11-12	„ „	40 კაპ
8.	„წითელი სხივი“	1924 წ. №№ 1, 2-3, 4-5, 6-7-8	„ „	40 კაპ

წ ი გ ნ ე ბ ი.

9.	„ნორჩი ძალა“—კრებული	თითო ცალი	—	12 კაპ.
10.	„სამი ამბავი“—შიო მღვიმელის	„ „	—	10 კაპ.
11.	„კოკროჭინა“—დ. დონდუასი	„ „	—	10 კაპ.
12.	„ბელა ბეკეკა“—დ. დონდუასი	„ „	—	10 კაპ.
13.	„შემოდგომა“ ფერადსურათებიანი წიგნი	„ „	—	70 კაპ.
14.	„დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია	„ „	—	50 კაპ.
15.	„ბავშვებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა	„ „	—	20 კაპ.
16.	„ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა	„ „	—	20 კაპ.
17.	„ტყის სურათები“—შიო მღვიმელისა	„ „	—	25 კაპ.
18.	„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	„ „	—	30 კაპ.
19.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	„ „	—	02 კაპ.
20.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“	„ „	—	80 კაპ.
21.	„ტროადის ომი“—ალ. მიქაბერიძისა	„ „	—	80 კაპ.
22.	„ივავ-არაკნი“—ალ. მირიანაშვილისა	„ „	—	30 კაპ.
23.	„საბავშო პიესათა კრებული“	„ „	—	70 კაპ.
24.	„ივანე სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა	„ „	—	15 კაპ.
25.	„ლურჯი ფრინველი“	„ „	—	50 კაპ.
26.	„მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გოგლიჩიძისა	„ „	1 მან.	—
27.	„ოვიდიუსის მეტამორფოზები“—მიქაბერიძისა	„ „	—	70 კაპ.
28.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით	„ „	—	50 კაპ.
29.	„უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“	„ „	—	45 კაპ.
30.	„როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	„ „	—	25 კაპ.
31.	„გაზაფხული და ზაფხული“	„ „	—	90 კაპ.
32.	„რას გვიამბობს ოთახი“	„ „	—	20 კაპ.
33.	„ზღვის სიმდიდრე“	„ „	—	20 კაპ.
34.	„პატარა იაპონელები“ ფერადი ყდით	„ „	—	75 კაპ.
35.	„კოკონთან“ ჩვენი ძმები ყველგან არიან	„ „	—	10 კაპ.
36.	„ როგორ გავატარეთ ზაფხული ბანაკში	„ „	—	15 კაპ.
37.	„სიზრმად და ცხადად“	„ „	—	30 კაპ.
38.	„კოკონთან“ ჩვენი უფროსი ძმები—ახალგაზრდა კომკავშირელები	„ „	—	10 კაპ.
39.	„კომბლე“ სურათებიანი წიგნი	„ „	—	65 კაპ.
40.	„ლენინის საათი სკოლაში“	„ „	—	50 კაპ.
41.	„ტაიგის საუნჯენი“	„ „	—	40 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა ქართველ მოწაფეთა უოველკვირეულ გაზეთ

„მოწაფის ხმა“-ზე

ხელის მოწერა სწარმოებს თვიურად და წლიურად

თვიურად პროვინციაში გადაგზავნით ღირს სამი შაური, ტფილისში—12 კაპეიკი.

წლიურად—თვიური ანგარიშის მიხედვით. ფულის გადაგზავნა მარკებითაც შეიძლება.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, განათლების სახალხო კომისარიატი. „მოწაფის ხმა“.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტესტის №-2 ტიპაბა, ლენინის ქუჩა № 3.

1925 წ.

გამოდის

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მეზრდილთათვის **წითელი სხივი** წლიწადი 2

მეცირეწლ. **ნაკადული** წელ. მე-XXI

ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელოვნის საქართველოს გავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, გავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, გიგლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

„წითელი სხივი“

და

„ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

„წითელი სხივი“ გადაგზავნით—5 მან.
„ნაკადული“ „ „ —3 მან. 50 კაპ.

ცალკე „წითელი სხივი“—45 კაპ.
„ნაკადული“ 30 კაპ.

მისამართი: ტფილისი. რუსთველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქციას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

ტირაჟი 3,000